პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 73 (9849) | ხუთშაბათი, 25 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა (1-ლი გვერდი).

კრემლის დიდ სასახლეში (მე-2 გვერდი).

რევოლუცია საკავშირო ალკაჯ XII ყრილობისა საკავშირო ალკაჯ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ანგარიშ-ში მოხსენების გამო (მე-2 გვერდი).

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა [illegible] მოვიყვანე სიმინდის უხვი მოსავალი (მე-3 გვერდი).

ვალენტინ ოვეჩკინი. — ერთ კრებაზე (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — კარგი წიგნი და მისი ნაკლოვანებები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ცოცხალი ორგანიზაციული მუშაობა მთავარია სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში

ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ", პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა განვლილ ხანში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ახლო მომავალში სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარებისათვის პირობებისა და წანამძღვრების შესაქმნელად. პირველივე ნაბიჯები, რომლებიც პარტიამ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნაში გადადგა, ცხადყოფენ, რომ ჩვენ გვაქვს უდიდესი გამოუყენებელი რეზერვები. ჩვენ ყველა საჭირო პირობა გვაქვს იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა ჩვენი ქვეყნის მოთხოვნების დონეზე ავიყვანოთ. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა მარცვლეულის წარმოების გადიდებას, რაგდან მარცვლეულის მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია.

მარცვლეულის მეურნეობის და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების სხვა დარგების განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელება დაბეჯითებით მოითხოვს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას და ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესებას. ამიტომ კოლმეურნეობებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა ისე კონკრეტული, კვალიფიციური, საქმის ღრმა ცოდნაზე დამყარებული უნდა იყოს, როგორც არასოდეს არ ყოფილა.

თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა იმას ნიშნავს, რომ დავრაზმოთ მასები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარების ძირეული საკითხების გადაჭრისათვის. სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დარგში კი, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა პლენუმმა აღნიშნა, დამკვიდრდა მავნე, ბიუროკრატული პრაქტიკა. ეს პრაქტიკა იმაში მდგომარეობს, რომ აპარატის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების ძირითადი ძალები გამოყენებულია არა იმ კონკრეტულ ცოცხალ საქმეზე, რომ მასები დარაზმან პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, არამედ მრავალი დირექტივის, რეზოლუციის, ცნობის, წერილის, ანგარიშისა და სხვა, ხშირად სრულიად უმაქნისი ქაღალდების შესადგენად.

ნაცვლად იმისა, რომ სიმძიმის ცენტრი გადაიტანონ ორგანიზატორულ საქმიანობაზე, ადგილებთან ცოცხალ ურთიერთობაზე, ბევრი პარტიული და საბჭოთა მუშაკი მთელ საქმეს იმით ამოწურავს, რომ აწყობს სხვადასხვაგვარ თათბირებსა და სხდომებს, დაუსრულებლად იწვევს ადამიანებს რაიონულ და საოლქო ცენტრებში. მრავალი სხდომის, უსარგებლო ქაღალდების თხზვის ღრმად დამკვიდრებული პრაქტიკა იმას იწვევს, რომ ზოგიერთ ხელმძღვანელს ეკარგება უნარი გაერკვეს ცხოვრების მოვლენებში, საქმის მდგომარეობაზე მსჯელობს მხოლოდ ნაკრები ცნობების მიხედვით. ისინი დაუსრულებლივ წერენ თვითონ, აწერინებენ სხვა მუშაკებს, მოითხოვენ პასუხს თავიანთ დირექტივებზე. მუშაობის ასეთი კანცელარიულ-ბიუროკრატული მეთოდები უარყოფით გავლენას ახდენენ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაზე.

თითქმის ყველა საოლქო და სამხარეო პარტიულ კონფერენციაზე და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ყრილობებზე, რომლებიც ამას წინათ გაიმართა, აღნიშნავდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებს სოფლის მეურნეობისადმი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობის მეთოდებში. მაგალითად, ხაბაროვსკის სამხარეო პარტიულ კონფერენციაზე აღნიშნავდნენ იმას, რომ ამ მხარეში დამაკმაყოფილებლად არ ხორციელდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების აღმავლობის ამოცანები. პარტიის სამხარეო კომიტეტმა და სამხარეო აღასკომმა ცოტა გადაწყვეტილება როდი მიიღეს სოფლის მეურნეობის საკითხებზე, მაგრამ კოლმეურნეობებსა და მტს-ებში საქმის მდგომარეობა ჯერ არ გაუმჯობესებულა. მხარეში ნელა მიმდინარეობს მზადება საგაზაფხულო თესვისათვის, არ იღებენ საჭირო ღონისძიებებს მექანიზატორთა კადრებით მტს-ების განმტკიცებისათვის.

ეს უმთავრესად იმიტომ ხდება, რომ ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას ცვლიან სახხდომო ფუსფუსით და მეტისმეტი კანცელარულობით. სამხარეო კომიტეტისა და სამხარეო აღასკომის ხელმძღვანელი მუშაკები მეტ წილ დროს ხარჯავენ დირექტივების, რეზოლუციების პროექტების, ცნობებისა და სხვ. შედგენაზე. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, რომელმაც მოითხოვა ბოლო მოეღოს მუშაობის კანცელარიულ-ბიუროკრატულ მეთოდებს, სოფლის მეურნეობის სამხარეო სამმართველომ არა თუ არ შეამცირა, არამედ კიდევაც გაადიდა ადგილებზე ქაღალდების გზავნა.

ტაჯიკეთის ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ორგანიზატორულ საქმიანობას სათანადო ყურადღება არ ექცევა. რესპუბლიკაში ნელა ვითარდება მუშაობა სოფლის მეურნეობის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მთელ რიგ ოლქებსა და რაიონებში პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები ჯერჯერობით სჯერდებიან სიტყვებს, რომ საჭიროა მტს-ებისა და კოლმეურნეობების მუშაობის გაუმჯობესება, და არ ეწევიან მასებში ნამდვილ ორგანიზატორულ მუშაობას, რომელიც მიმართული უნდა იყოს საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში გადადებელ ღონისძიებათა შესრულებისაკენ. ამაზე, კერძოდ, ლაპარაკი იყო ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე.

კომუნისტური პარტიის ორგანიზატორი და ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მოითხოვდა სახელმწიფო აპარატის ზუსტი მუშაობის მოწყობას, შესრულების ყოველდღიურ შემოწმებას, გადამწყვეტ ბრძოლას კანცელარიულობასთან, ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან.

ლენინის ამ მითითებამ სავსებით შეინარჩუნა მნიშვნელობა ჩვენს დროშიც. წარმატებით რომ განახორციელოთ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების შესახებ, საჭიროა აღმოვფხვრათ კოლმეურნეობებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი კანცელარიულ-ბიუროკრატული ხელმძღვანელობის მავნე პრაქტიკა, დავამყაროთ მათთან ცოცხალი კავშირი, შევამციროთ ქაღალდების ნაკადი და ანგარიშგება, გავაძლიერით მუშაკების პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის. სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში მთავარია ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა მასებში, კოლმეურნეობებისა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევა, გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება.

ადგილობრივი პარტიული ორგანოები მოვალენი არიან ბოლო მოუღონ სახხდომო ფუსფუსს, მეტისმეტ კანცელარიულობას. ადამიანებს ხშირად კი არ უნდა ვიწვევდეთ ადგილებიდან, არამედ უნდა მივდიოდეთ ადგილებზე, ხშირად ვიყოთ მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სოლქო, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები ძირითად ყურადღებას უნდა აქცევდნენ არა სხდომებსა და თათბირებს, არა მასალების შეკრებასა და ტრაფარეტული რეზოლუციების შედგენას, არამედ პარტიის რაიკომების ინსტრუქტორს, ინსპექტორებს.

უდიდესია პარტიის სასოფლო რაიკომების როლი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება მალე დავამთავროთ მათი მუშაობის გარდაქმნა, რაიკომების აპარატი ჯერჯერობით დაუფასოლოთ საკოლმეურნეო წარმოებას. რაიკომის მუშაკი მხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის დანიშნულებას, როცა კარგად გაერკვევა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, უნარიანად აღზრდის ადამიანებს. საჭიროა ნაკლები დრო გავატაროთ კანცელარიებსა და კაბინეტებში, უფრო მეტი ვიმუშაოთ კოლმეურნეებთან, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან, დავრაზმოთ ისინი დასახული ამოცანების შესასრულებლად, ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციები, დახმარება გავუწიოთ მათ პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში, ვაწარმოოთ პოლიტიკური მუშაობა მასებში.

პარტიის სასოფლო რაიკომების მუშაობის გარდაქმნასთან დაკავშირებით შეიცვალა რაიკომის პირველი მდივნის როლიც, გადიდდა მისი პასუხისმგებლობა. რაიკომების ზოგიერთ პირველ მდივანს ეს არ ესმის. მათ მიაჩნიათ, რომ თუ ახლა არიან პარტიის რაიკომების მდივნები თვითეული მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში სამუშაოდ, ამით პირველი მდივნების როლი სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში შეიცირდა. ეს სრულებით არ არის სწორი: რაიკომის პირველი მდივნის, ისევე როგორც რაიაღმასკომის თავმჯდომარის, პასუხისმგებლობა მტს-ებისა და კოლმეურნეობების საქმეებისათვის განუზომლად დიდდება. ისინი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის ნამდვილი ორგანიზატორები უნდა იყვნენ.

ორგანიზატორული საქმიანობა განუყრელად დაკავშირებულია კადრების შერჩევასთან, განაწილებასა და აღზრდასთან. კადრების საკითხი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მთავარი საკითხია. საჭიროა განვაგრძოთ სპეციალისტების შერჩევა და გაგზავნა სოფლის მეურნეობაში, განვამტკიცოთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შემადგენლობა და მხედველობაში ვიქონიოთ, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე საკოლმეურნეო წარმოებაში ცენტრალური ფიგურაა.

ამჟამად პარტორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა უნდა წარმართოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისაკენ. პარტიული ორგანიზაციების პირდაპირი ვალია მიაღწიონ მარცვლეულის მეურნეობის როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის მკვეთრ აღმავლობას, მოკლე ვადებში აღმოფხვრან ჩამორჩენა მეცხოველეობის, მებოსტნეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაში.

საჭიროა უზრუნველვყოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი გადიდება ყველა ფართობზე, უზრუნველვყოთ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ პარტიის გადაწყვეტილების შესრულება. სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება წლევანდელ საგაზაფხულო თესვას. პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი ძალები უნდა წარმართონ ტრაქტორებისა და მიხაბმელი ინვენტარის რემონტის უსწრაფესი დამთავრებისათვის, თესლის მომზადებისათვის, მინდვრებში ნაკელის შეტანისათვის, მინერალური სასუქების შემოტანისათვის, გაკეთონ ყველაფერი, რაც საჭიროა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის.

ჩვენი პარტიის მთელი მუშაობის სტილის დამახასიათებელი ნიშანია სიტყვისა და საქმის, გადაწყვეტილებისა და შესრულების ერთიანობა. პარტია თავის გადაწყვეტილებებს, თავის შემუშავებულ პოლიტიკას მუდამ განამტკიცებს ორგანიზატორული მუშაობით. მასებში პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მოღვაწეობის დონის შემდგომი ამაღლება კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა საფუძველია.

„პრავდის" 24-III მოწინავე.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ა. წ. 22-24 მარტს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. პ. მეჟავანაძის მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის შედეგების შესახებ".

ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩია ამხ. ო. დ. გოცირიძე.

დაიწყო საგაზაფხულო თესვა

სტალინირი, 23 მარტი. (საქდესი). ქსუისის მტს-ის მეოთხე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მექანიზატორი ჩ. ოქროპირიძე ხელმძღვანელობს, დაიწყო საგაზაფხულო თესვა. ბრიგადამ უკვე დათესა 30 ჰექტარი საგაზაფხულო ხორბალი სტალინირის რაიონის სოფელ არცევის კოლმეურნეობაში.

სწრაფად მიმდინარეობს თესვა ლენინგორის რაიონის სოფელ ახმაჯის კიროვის სახელობის, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის და სხვა კოლმეურნეობებში. უკვე დაითესა ათობით ჰექტარი საგაზაფხულო ხორბალი.

* * *

ბორი, 23 მარტი. (საქდესი). რაიონის კოლმეურნეობებში დაიწყო საგაზაფხულო თესვა. სოფელ კარაღეთის სასოფლო-სამეურნეო არტელ „გამარჯვების" წევრებმა უკვე დათესეს 80 ჰექტარი საგაზაფხულო ხორბალი. ათობით ჰექტარი დათესეს სოფელ სკრის შვერნიკის სახელობის, სოფელ ბერბუკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებმა და სხვ.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაიწყო აგრეთვე შაქრის ჭარხლის თესვა.

ახალი წარმატებებით აღვნიშნოთ საპირველმაისო მზადების პირველი დღეები

სამაისოდ — საკოლმეურნეო სოფელს

— კულტივატორები, მცენარეთა შესაწამლავი აპარატები, ვაზის სასხლავი მაკრატლები, მრავალი სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღი საპირველმაისო საჩუქრად ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეებს! ასეთი ლოზუნგით ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის კოლექტივი.

დიდმნიშვნელოვანი თარიღი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ცხოვრებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე — 14 მარტი ამ ქარხნის კოლექტივმა ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებით აღნიშნა: წარმატებით ითვისა ორგვარი ნაგების ტორფშუმპალის ქოთნების დამამზადებელი აპარატების წარმოება და უკვე გამოუშვა 360 ცალი ასეთი აპარატი. ახლა ქარხნის კოლექტივი ებრძვის იმისათვის, რომ გეგმის გადამეტებით გამოუშვას სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები და ხელსაწყოები.

მისაბაძ შრომითს აქტივობას იჩენენ ქარხნის კოლექტივის მიერ ნაკისრი ვალდებულებათა განაღდებაში კომკავშირელი ხარატი ვ. ქარცივაძე, ზეინკალი მ. ბუბაშვილი და ლეთონმსხმელი ი. ჯიმშერიანი.

ლამაზი, იაფი, მაღალხარისხოვანი ავეჯი მოსახლეობას

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს თბილისში აქვს ავეჯის ფაბრიკა, რომლის კოლექტივმაც ბოლო ხანებში სახელი გაითქვა მოსახმარად მარტივი, ხელსაყრელი და ლამაზი საოჯახო ავეჯის გამოშვებით, უმთავრესად დასაშველ-ასაწყობი საწოგნე კარადების, გასაშლელი მრგვალი სასადილო მაგიდების და მთელი რიგი სხვა დანიშნულების ავეჯის გამოშვებით.

არჩევნებისათვის ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდების შემდეგ თბილისელმა მეავეჯეებმა გადაწყვიტეს კიდევ უფრო გაძლიერონ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ბრძოლა, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულისათვის — 1 მაისისათვის მოიბოვონ ახალი საწარმოო წარმატებანი.

საპირველმაისო საწარმოო წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში გამოირჩევიან მ. ელბაქიძის, ზ. კახელაშვილის, ვ. შახელოვის ბრიგადები, ხოლო ინდივიდუალურ შეჯიბრებაში — ნ. კალეევი, კ. გავრილოვა, თ. შათირაშვილი, მ. ჯმუხაძე, ტ. არჩვაძე, ვ. დრობიშევა და ლ. შაბლია.

საპირველმაისო შეჯიბრებაში ჩაბმისას ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა მიიღწიოს იმას, რომ უახლოეს ხანში იქ არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი მუშა და გადიდდეს მოსმახმარებელთათვის მოსაწონი, ლამაზი, იაფი და მაღალხარისხოვანი ავეჯის გამოშვება.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ორდენები გადაეცა თვალსაჩინო ქართველ მეცნიერთა ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან ნაშაახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის. ჯილდოები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ნ. ქელეშაძემ.

ლენინის ორდენი მიიღეს აკადემიკოსმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. ი. მუსხელიშვილმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა გ. ვ. ხაჭაპურიძემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ა. გ. შანიძემ.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გ. ვ. წერეთელს.

ამავე დღეს სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადაეცა თბილისის სკოლების მასწავლებელთა დიდ ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის.

ლენინის ორდენი მიიღეს: № 5 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ს. პ. აბაშიძემ, № 7 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ა. დ. ავალიანმა, № 30 საშუალო სკოლის დირექტორმა ს. თ. ბრეგაძემ, № 26 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ დ. კ. გედევანიშვილმა, № 23 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ე. ე. დიდიამ, № 43 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ლ. ე. ეფრემოვამ, № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვ. პ. კორძაიამ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდისტმა მ. ზ. მამფორიამ, № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ე. გ. სარქისოვმა, № 7 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. მ. სარალიძემ, № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. ბ. დოჭვირიმ და სხვებმა. სულ ლენინის ორდენი მიიღო 41 კაცმა.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა № 18 საშუალო სკოლის დირექტორს ე. მ. აბგაროვას, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის ინსპექტორს ვ. ა. ანდღულაძეს, № 27 საშუალო სკოლის მასწავლებელს პ. ე. ვეფხვაძეს, № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელს ნ. ვ. ზარემბოს, № 20 საშუალო სკოლის მასწავლებელს ვ. დ. ხოფერიას, № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელს შ. ი. ცაგარელს, № 11 საშუალო სკოლის მასწავლებელს მ. ი. ეპიტიასს და სხვებს, სულ 29 მასწავლებელს.

„საპატიო ნიშნის" ორდენი მიიღეს: № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვ. მ. ამონაშვილმა, № 5 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ლ. ზ. ბარამიძემ, № 16 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვ. ნ. გლადკოვამ, № 11 საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. ა. დანელიანმა, № 20 საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. ზ. ლაშაურმა, № 30 საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. გ. ნალბანდიანმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილემ ბ. ი. ფერაძემ და სხვებმა, სულ 26 კაცმა.

მედალი **„შრომითი მამაცობისათვის"** მიიღო 45 კაცმა, მედალი **„შრომითი წარჩინებისათვის"** — 42 კაცმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს № 30 საშუალო სკოლის დირექტორმა ს. თ. ბრეგაძემ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდისტმა მ. ზ. მამფორიამ, რომლებმაც მხურვალე მადლობა უძღვნეს პარტიას და მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ნ. ქელეშაძემ მიულოცა დაჯილდოებულთა და ღუსურვა შემდგომი წარმატება მუშაობაში. (საქდესი).

მოსკოვი. საკავშირო ალკაჯ XII ყრილობის დელეგატების ჯგუფი საქართველოს სს რესპუბლიკიდან წითელ მოედანზე.
ფოტო „კომუნისტის" სპეც. ფოტოკორესპონდენტის გ. ფახტანგაძისა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ კავშირის კონსტიტუციის 55-ე მუხლის საფუძველზე **ადგენს:**

მოწვეულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია 1954 წლის 20 აპრილს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი

მოსკოვი, კრემლი. 1954 წლის 24 მარტი.

უკრაინის კომუნისტური პარტიის მე-18 ყრილობა

კიევი. 23 მარტი. (საქდესი). დღეს კიევში გაიხსნა უკრაინის კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა. უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, სადაც ყრილობა მიმდინარეობს, შეიკრიბნენ დელეგატები, აგრეთვე ბევრი სტუმარი — მუშები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ყრილობა გახსნა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ი. კირიჩენკომ.

ყრილობის დელეგატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს უკვდავი ლენინის საქმის დიდი განმგრძობის — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ნათელ ხსოვნას.

დამტკიცებულია ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება.

2. უკრაინის კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.

3. უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არჩევნები.

4. უკრაინის კომპარტიის სარევიზიო კომისიის არჩევნები.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ი. კირიჩენკომ.

უკრაინის კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება გააკეთა უკრაინის კომპარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ზ. ს. ნეჩიპორუკმა.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

ფართოვდება რძის პროდუქტების წარმოება

ჩვენს ქვეყანაში დაიწყო რძისა და რძის პროდუქტების დამზადებისა და გადამუშავების საგაზაფხულო-საზაფხულო სეზონი. მიმდინარე წელს უნდა გადამუშავდეს სამნახევარი მილიონი ტონით მეტი რძე, ვიდრე შარშან.

როგორც საკდესის კორესპონდენტს რძისა და რძის კონსერვების მრეწველობის მთავარ სამმართველოში აცნობეს, სამმართველოს საწარმოები დროულად მოემზადნენ ახალი სეზონისათვის, რძის მოზიდვა და გადამუშავება დიდდება. 11 მარტისათვის გამომუშავებულია რძის ნაწარმი 28 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე ხნის განმავლობაში. შესქელებული რძე — 26 პროცენტით მეტი. გადიდდა პასტერიზებული რძის, დიეტური პროდუქტების, ხაჭოს წარმოება.

ფართოვდება პროდუქციის ასორტიმენტი და უმჯობესდება მისი გაფორმება. პირველად ეწყობა სტერილიზებული შესქელებული რძის გამოშვება, რომელიც დიდ ხანს შეინახება. დიდდება კეფირის, მაჭრიანი რძის, კაკაოსა და ყავის, ხაჭოს კრემებისა და ტორტების გამოშვება.

მიმდინარე წელს განსაზღვრულია ამუშავდეს რძის ქარხნები მოსკოვში, ვოროშილოვგრადში, იალტაში, მაგნიტოგორსკში და სხვა ქალაქებში, შესქელებული რძის ქარხნები ოდესის, პოლტავისა და კამენეც-პოდოლსკის ოლქებში, რძის ფხვნილის საწარმოები სარატოვის ოლქში. ყველა საწარმოში იდგმება დიდი წარმადობის მოწყობილობა. წლის ბოლომდე მწყობრში ჩადგება სადგურებისა და შარაგზების ახლოს მდებარე ოცზე მეტი რძის ქარხანა. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

საკავშირო ალკკ XII ყრილობისა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენების გამო

მოისმინა და განიხილა რა საანგარიშო მოხსენება საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საკავშირო ალკკ XII ყრილობა ადგენს:

მოწონებულ იქნას საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში.

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი თავის XII ყრილობას შეხვდა მტკიცედ დარაზმული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო. კომკავშირი პარტიის აქტიური თანაშემწეა კომუნისტურ მშენებლობაში, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოთა და მშენებლობათა კომკავშირული ორგანიზაციები ახალგაზრდობის ძალღონეს წარმართავენ საწარმოო გეგმების შესასრულებლად, შრომის ნაყოფიერების გასაიდიდებლად.

კოლმეურნეობების, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციები ებმებიან იმისათვის ბრძოლაში, რომ შეასრულონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ. პარტიის იმ მოწოდების პასუხად, რომ ათვისებულ იქნას მილიონობით ჰექტარი უამრი და ნასვენი მიწები, ათეულ ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი ნებაყოფლობით გაემგზავრა სამუშაოდ ახალი მიწების ათვისების რაიონებში.

მოსწავლე ახალგაზრდობა გულმოდგინედ ეუფლება ცოდნას, ემზადება იმისათვის, რომ გახდეს კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი. ახალგაზრდა საბჭოთა ინტელიგენცია იბრძვის საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი აყვავებისათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც პარტიამ აღზარდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულების სულისკვეთებით, განამტკიცებს და აფართოებს მეგობრულ ურთიერთობას ყველა ქვეყნის ახალგაზრდობასთან, რომელიც იბრძვის მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ.

საანგარიშო პერიოდი კომკავშირის რიგების შემდგომი განმტკიცებისა და ზრდის პერიოდი იყო. გაიზარდა საკავშირო ალკკ წევრების აქტივობა, გაძლიერდა კომკავშირული ორგანიზაციების გავლენა ახალგაზრდობაზე. XI ყრილობის შემდეგ კომკავშირი ერთიორად გაიზარდა.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა არ დაგვენახა, რომ ბევრი კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება იმ ამოცანებს, რომლებიც პარტიამ დასახა, ჩამორჩება ახალგაზრდობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

საკავშირო ალკკ ყრილობა ავალებს კომკავშირულ ორგანიზაციებს უზრუნველყონ ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობის ყველა ღონისძიებით გაძლიერება, იბრძოლონ იმისათვის, რომ კომკავშირის, თვითეული კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობა სულ უფრო სრულად აკმაყოფილებდეს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მოთხოვნილებებს და შეესაბამებოდეს იმ ამოცანებს, რომლებიც საკავშირო ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს დაუსახა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ.

I.

მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ უკანასკნელი წლების მანძილზე შეასუსტა მონაწილეობა სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში. პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად ახალგაზრდობის დარაზმვის ნაცვლად კომკავშირის კომიტეტები ხშირად გართულნი არიან ზოგადი ლაპარაკით, არ გრძნობენ პასუხისმგებლობას საწარმოებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში საქმის მდგომარეობისათვის, გვერდს უვლიან ახალგაზრდობის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის, საწარმოო ნორმებისა და დავალებების შეუსრულებლობის ფაქტებს.

კომუნისტური პარტიის მითითებათა შესაბამისად კომკავშირი მოვალეა ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების დარგში მთელი თავისი მუშაობა კვლავაც შეუერთოს პრაქტიკულ მონაწილეობას კომუნიზმის აშენებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყოფილ იქნას კომკავშირული ორგანიზაციების გადაჭრით მობრუნება იმისაკენ, რომ უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კომკავშირელთა და ახალგაზრდობის განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი უნდა იყოს იმაზე, რომ შემდგომ განვითარდეს სოციალისტური მრეწველობა, განხორციელდეს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული პროგრამა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისა, გადაწყვეტილ იქნას ის დიადი საყოველთაო-სახალხო ამოცანა, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში საკმაოდ დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი სახალხო მოხმარების საქონელზე.

ყრილობა მოუწოდებს კომკავშირულ ორგანიზაციებს კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, გამოიჩინონ მეტი აქტივობა და ინიციატივა, დარაზმონ ახალგაზრდობის ძალები შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის თვითეულ სამრეწველო საწარმოში, თვითეულ მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში.

მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოთა და მშენებლობათა კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ძალები წარმართონ საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, თვითეულ მეტრ საწარმოო ფართობზე და მოწყობილობის ერთეულზე პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სოფლის მეურნეობის დარგში კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა დარაზმონ ახალგაზრდობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ყოველმხრივ დაეხმარონ პარტიულ ორგანოებს მიაღწიონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვან გადიდებას, მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდას, ტექნიკის უკეთ გამოყენებას, მინდვრის სამუშაოთა დროულ და ხარისხობრივ განხორციელებას. მთელი კომკავშირის დიდი და საპატიო საქმეა აქტიური მონაწილეობა უამირი და ნასვენი მიწების ათვისების გეგმის განხორციელებაში. კომკავშირელები მოთავენი უნდა იყვნენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევათა პროპაგანდისა და ამ მიღწევების წარმოებაში დანერგვის საქმეში.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების დიდი მნიშვნელობის გამო, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი დახმარება უნდა გაუწიონ პროფესიული განათლების სასწავლებლებს მოსწავლეთა სწავლების ხარისხისა და აღზრდის გაუმჯობესებაში, იბრძოლონ ახალგაზრდა მუშებისა და სოფლის მეურნეობის მექანიზატორების სწორად გამოყენებისათვის წარმოებაში, მეტი იზრუნონ მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

II.

კომკავშირული ორგანიზაციები საკმაოდ არ ზრუნავენ ახალგაზრდობის კულტურული ზრდისათვის. ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოები ცუდად ეხმარებიან სკოლას მოსწავლეთა წარმატების გადიდებასა და დისციპლინის განმტკიცებაში.

კომკავშირი მოწოდებულია ყოველმხრივ იზრუნოს იმისათვის, რომ ახალგაზრდობა ბეჯითად ეუფლებოდეს ცოდნას, მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს და უნარიანად იყენებდეს მათ პრაქტიკულად სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

საბჭოთა ადამიანის — კომუნიზმის მშენებლის — ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს ასრულებს საბჭოთა სკოლა. მონაწილეობა საბჭოთა სკოლის შემდგომ განმტკიცებაში, მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის გაუმჯობესებაში — კომკავშირის ღვიძლი საქმეა.

კომკავშირული ორგანიზაციები არ უნდა იშურებდნენ დროსა და ძალას სკოლებში მუშაობისათვის, მოსწავლეებში სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულის დანერგვისათვის, ისინი მოვალენი არიან დაეხმარონ მასწავლებლებს იმაში, რომ ჩაუნერგონ ბავშვებს შრომისმოყვარეობა, ცოდნისადმი მისწრაფება, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სათუთი მოპყრობა, პატიოსნება და გულმართლობა.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის ამაღლების დიდი მნიშვნელობის გამო, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონისძიებით უნდა დაუჭირონ მხარი ახალგაზრდობის მისწრაფებას — ისწავლონ საღამოს სკოლებში, დაუსწრებელ და საღამოს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ძალი დახმარება გაუწიონ სასწავლებელთა პარტიულ ორგანიზაციებსა და ხელმძღვანელებს მათს მუშაობაში სტუდენტთა სწავლებისა და აღზრდისათვის, მაღალკვალიფიციური და ყოველმხრივ განვითარებული, სოციალისტური სამშობლოს ერთგული სპეციალისტების მომზადებისათვის.

III.

ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია ჯერ-ოვნად არ აფასებს იდეოლოგიურ მუშაობას, ამ მუშაობას ეწევა ცხოვრებისაგან, უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანებისაგან მოწყვეტით. ჯერ-ოვანი ყურადღება არ ექცევა ახალგაზრდობის აღზრდას კომუნისტური მორალის სულისკვეთებით.

სამშობლოსადმი ერთგული სამსახურის, კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანა კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ფართოდ გააჩაღონ იდეოლოგიური მუშაობა, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. კომკავშირი მოწოდებულია დაეხმაროს პარტიას იმაში, რომ ჩაუნერგოს ახალგაზრდობას საბჭოთა ადამიანების სოციალური თვისებები — შრომისადმი სიყვარული, მხნეობა, უშიშარობა, კომუნიზმის გამარჯვების რწმენა, ყოველგვარი სიძნელისა და დაბრკოლების გადალახვისათვის მზადყოფნა.

საჭიროა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ მტკიცედ შეითვისონ მარქსიზმ-ლენინიზმის არსი, ბოლო მოვუღოთ მიუროკრატულ დამახინჯებებსა და ადმინისტრირებას პოლიტიკური განათლების ორგანიზაციაში, ნებაყოფლობის პრინციპის ღრმად დამახინჯებას, კომკავშირელების ხელოვნებით ჩარიცხვას წრეებსა და პოლიტსკოლებში.

ყრილობა ავალებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს, კომკავშირის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს გააძლიერონ ხელმძღვანელობა კომკავშირული პროპაგანდისადმი, აამაღლონ მისი იდეური დონე, გააუმჯობესონ ჟურნალისტთა კადრების მომზადების საქმე.

საჭიროა ხელმძღვანელმა კომკავშირულმა ორგანოებმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეურიგებელი ბრძოლა აწარმოონ წარსულის ნაშთებთან ახალგაზრდობის შეგნებაში, ისეთი ქცევის წინააღმდეგ, რომელიც შეუფერებელია საბჭოთა ადამიანებისათვის. კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველყონ ახალგაზრდობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაჩაღება, განახორციელონ მეტი საინტერესო ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჭაბუკების და ქალიშვილების კარგ დასვენებას.

კომკავშირი მოწოდებულია დაუცხრომლად ზრუნავდეს ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობისათვის, ამზადებდეს მას შრომისათვის და სამშობლოს დაცვისათვის. ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყოს მასობრივი ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის შემდგომი გაჩაღება, აქტიურად ჩაბას ახალგაზრდობა სისტემატურ სპორტულ მეცადინეობაში, მიაღწიოს იმას, რომ საკავშირო ალკკ ყველა წევრმა ჩააბაროს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ კომპლექსის ნორმატივები.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ძალების კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან გააუმჯობესონ მუშაობა არმიისა და ფლოტის ახალგაზრდობის აღზრდისათვის სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, იბრძოლონ იმისათვის, რომ ყველა კომკავშირელი მოწინავე როლს ასრულებდეს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებასა და დისციპლინაში, უახლესი სამხედრო ტექნიკისა და იარაღის დაუფლებაში.

საკავშირო ალკკ ხელს უნდა უწყობდეს ახალგაზრდობის საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის გაფართოებასა და განმტკიცებას, ავითარებდეს საბჭოთა ახალგაზრდობის ძმურ კავშირს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობასთან, აფართოებდეს მეგობრობას კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების დემოკრატიულ ახალგაზრდობასთან.

IV.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ბევრ კომკავშირულ ორგანიზაციაში მუშაობა წარმოებს არასაინტერესოდ, შაბლონურად, ვერ აკმაყოფილებს ახალგაზრდობას. ამის გამო კომკავშირელთა ერთი ნაწილი კარგავს ინტერესს ორგანიზაციისადმი, კარგავს კავშირს კომკავშირთან. კომკავშირის მთელ რიგ რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებში განურჩევლად უდგებიან ახალგაზრდობის მიღებას კომკავშირში. ამასთან ერთად კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად ავსებენ თავიანთ რიგებს მუშებითა და კოლმეურნეებით.

კომკავშირული ორგანოების მუშაობის სტილსა და მეთოდებში დამკვიდრდა მავნე, კახცელარიულ-ბიუროკრატული პრაქტიკა, რაც იმით გამოიხატება, რომ კომკავშირული მუშაკებისა და აქტივის ძალებს წარმართავენ არა იმისათვის, რომ შეასრულონ კონკრეტული ცოცხალი საქმე, გააძლიერონ მუშობა კომკავშირელებთან და ახალგაზრდობასთან, არამედ იმისათვის, რომ შეადგინონ მრავალი დირექტივა, რეზოლუციები, ცნობები, ანგარიშები და სხვა ისეთი ქაღალდები, რომლებიც ხშირად ჰარავისთვის საჭირო არ არის, მოაწყონ სხვადასხვა სხდომები და თათბირები. ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება სამუშაოთა მოწყობის ლენინურ პრინციპებს, წარმოშობს არევ-დარევას, საქმის გაჭიანურებასა და უპასუხისმგებლობას.

ყრილობას მიაჩნია, რომ კომკავშირის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობაა ყველა კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის მეთოდების შემდგომი გაძლიერება და გაუმჯობესება.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალური კომიტეტების, კომკავშირის საბარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ძირფესვიანად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, განდევნონ კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის პრაქტიკიდან კანცელარიულ-ბიუროკრატული მეთოდები, მკვეთრად შეამცირონ დადგენილებების, სხდომებისა და თათბირების რაოდენობა და მეტი უშუალო ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა გასწიონ ახალგაზრდობაში. პარტია გვასწავლის, რომ კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ ცოცხალი ადამიანები — კომკავშირელები და საბჭოთა ახალგაზრდობა. მუდამ უნდა ზრუნავდნენ მათი შრომის, ყოფაცხოვრების, განათლებისა და აღზრდისათვის, ჭაბუკებისა და ქალიშვილების სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. ამისათვის საჭიროა განუხრელად გავაფართოოთ და განვამტკიცოთ ცოცხალი კავშირი ახალგაზრდობის ფართო მასებთან.

კომკავშირული ორგანოები მოვალენი არიან თანმიმდევრულად განახორციელონ კომკავშირული დემოკრატია, შემდგომ განავითაროონ თვითკრიტიკა და განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკა, აამაღლონ კომკავშირული ორგანიზაციებისა და საკავშირო ალკკ წევრების აქტივობა, განუხრელად დაიცვან კოლექტიურობის პრინციპი მუშაობაში. პირველადი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობაში არ დაუშვან ადმინისტრირება, მათი მუშაობის არასაჭირო რეგლამენტირება „ზემოდან, მიაღწიონ იმას, რომ თვითეული ორგანიზაცია მებრძოლი, დარაზმული კოლექტივი იყოს.

ყრილობა ავალებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს, კომკავშირის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს გააუმჯობესონ კომკავშირული კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმე, მტკიცედ დაიცვან პარტიის მიერ დაწესებული პრინციპები საქმიანი და პოლიტიკური თვისებების მიხედვით მუშაკთა შერჩევისა. გაბედულად დაამწიწინაურონ ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე უფრო ახალგაზრდა, მცოდნე და ისეთი აქტივისტები, რომლებმაც დადებითად გამოიჩინეს თავი ახალგაზრდობაში მუშაობით.

* * *

საკავშირო ალკკ XII ყრილობა პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი კვლავაც იქნება კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე და რეზერვი. კომკავშირი მთელ ძალღონეს მოახმარს იმას, რომ ღირსეულად შეასრულოს ის დიდი და პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში საკავშირო ალკკ XII ყრილობისადმი.

ყრილობა მოუწოდებს კომკავშირელებს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ამრავლონ თავიანთი ლონისძიებანი საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

კ რ ე მ ლ ი ს დ ი დ სასახლეში

23 მარტს, კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა საკავშირო ალკკ XII ყრილობა.

დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა კემერაოვის ოლქის პოლისაევო-2 შახტის ქვანახშირის კომბაინის მემანქანე ამხ. **კუშნერი.** იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის მეოხებით ქვანახშირის შახტები ჩვენს ქვეყანაში აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. მაგალითად, კუზბასში ფართოდ იყენებენ სამთო კომბაინებსა და სხვა მანქანებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააადვილეს მუშახტეთა შრომა, უფრო ნაყოფიერი გახადეს იგი. იმ შახტში, სადაც ამხ. კუშნერი მუშაობს, მთლიანად მექანიზებულია ქვანახშირის ამოღების მთელი პროცესი — ლავიდან რკინიგზის ვაგონებში დატვირთვამდე.

ამხ. კუშნერი აკრიტიკებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტსა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, რომლებსაც არაფერი არ გაუკეთებიათ იმ წინადადებათა მიხედვით, რაც შეტანილი იყო ქვანახშირის მრეწველობის ახალგაზრდა მოწინავეთა თათბირზე გასულ წელს. ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კუზბასის ახალგაზრდობას ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „შახტიორის“ ცენტრალური საბჭო. კუზბასისათვის საჭიროა მწვრთნელები, ფიზკულტურული მუშაკები.

სსრ კავშირის შინსტროა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. ზელენკომ ილაპარაკა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. თავისი არსებობის მანძილზე სახელმწიფო შრომითი რეზერვების სასწავლებლებმა გამოუშვეს 7 მილიონზე მეტი კვალიფიციური მუშა, მათ შორის ქვანახშირის მრეწველობისათვის — 1.200 ათასი კაცი, ტრანსპორტისათვის — 1.500 ათასი კაცი და სხვ. ახლა შრომითი რეზერვების სისტემას გადაეცა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადების საქმე.

ამხ. ზელენკო ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ შრომითი რეზერვების სასწავლებლებს ესაჭიროებათ კომკავშირული ორგანიზაციების დიდი დახმარება, კერძოდ, მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში.

სიტყვა ეძლევა წარჩინებულ ფეიქარს კუპავნის წმინდა შაუდის ფაბრიკის მუშას ამხ. **როყნივას.** იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ პოულობენ ახალგაზრდა მუშები ახალ რეზერვებს საქონლის წარმოების გასაადიდებლად და მტკიცედ ანადგენენ მათ, კომკავშირის XII ყრილობის გახსნის დღისათვის გამოშვებულ იქნა დაზოგილი მასალით 13 მილიონი მანეთის შლილი ქსოვილები.

ფაბრიკის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდა კადრების მომზადებას, მათი ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებას. სამი წლის განმავლობაში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრა შვიდწლედი და ათწლედი 200-ზე მეტმა კაცმა, საფეიქრო ტექნიკუმი — 100-მდე კაცმა. ასობით ახალგაზრდა მუშა მეცადინეობდა ტექნიკურ კურსებზე. ბევრი ახალგაზრდა მუშა დაწინაურებულია ინჟინერთა და ტექნიკოსთა თანამდებობებზე.

ამხ. როყნივას გამოსვლით დამთავრდა ყრილობის დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვა.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. შელეპინმა საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ ყრილობის დელეგატებმა სამართლიანად გააკრიტიკეს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა, მისი ბიურო და სამდივნო. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მომავალმა შემადგენლობამ ამომწურავი დასკვნები უნდა გამოიტანოს ამ კრიტიკიდან, უპასუხოს მას მთელი კომკავშირული მუშაობის შემდგომი აღმავლობისაკენ მიმართული კონკრეტული საქმეებით.

ყრილობამ ერთხმად მოიწონა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობა და მიიღო რეზოლუცია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

სიტყვა ეძლევა კორეის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს **კიმ გი სუს.** დელეგატები და სტუმრები ფეხზე ადგომით და მქუხარე ტაშით ხვდებიან კორეის გმირი ახალგაზრდობის წარმომადგენელს.

ყრილობის მონაწილენი აღფრთოვანებით ისმენენ იმ ახალგაზრდა კორეელი პატრიოტების უკვდავი გმირობის ამბავს, რომლებიც მთელ ხალხთან ერთად იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ახლა კორეის შრომისმოყვარე და მშვიდობისმოყვარე ახალგაზრდობა შრომის პარტიის მოწოდებით დაირაზმა საბრძოლველად ლოზუნგით: „ყველაფერი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისათვის!“. კორეელ ხალხს ეხმარება და მხარს უჭერს მთელი ძლევამოსილი დემოკრატიული ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი.

კორეის დელეგაციამ საჩუქრად გადასცა საკავშირო ალკკ XII ყრილობას კორეის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის დროშა.

ტრიბუნაზეა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის მდივანი **მილოსლავ ვეიკერი,** რომელსაც დელეგატები მხურვალედ შეხვდნენ. იგი ლაპარაკობს იმ მტკიცე, ურღვევი მეგობრობის შესახებ, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობას აკავშირებს საბჭოთა ახალგაზრდობასთან, დელეგატების ტაშის გრიალში ვეიკერმა ყრილობის პრეზიდიუმს გადასცა ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის საჩუქარი.

სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის სახელით ყრილობას მიესალმა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის გენერალური მდივანი **იოანე პელიკანი,** რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის დელეგაციამ ყრილობას გადასცა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის დროშა და ვაზა.

სიტყვას ამბობს უნგრეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის მდივანი **იოზეფ საკალი.** მის სიტყვებს, რომლებითაც იგი მადლობას უძღვნის საბჭოთა ხალხს უნგრეთის განთავისუფლებისათვის და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში უნგრეთის მშრომელი ახალგაზრდობისადმი დახმარებისათვის, ყრილობის დელეგატები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. უნგრეთის დელეგაციამ ყრილობას გადასცა უნგრეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის დროშა.

ტრიბუნაზეა იტალიის ახალგაზრდობის კომუნისტური ფედერაციის წარმომადგენელი, რომელსაც დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ. იტალიის ახალგაზრდობა, ამბობს იგი, ძნელ პირობებში ცხოვრობს, მაგრამ იგი ერთიანდება მშვიდობის, სამუშაოს, თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. ამ ბრძოლაში მას აღაფრთოვანებს საბჭოთა ახალგაზრდობის ბიოწვევები.

იტალიის ახალგაზრდობის წარმომადგენელმა ყრილობას გადასცა ახალგაზრდობის კომუნისტური ფედერაციის საუკეთესო აქტივისტების დროშა და მშვიდობის დროშა — ერთ-ერთი იმ სამი ათასი დროშიდან, რომლებზეც 150 ათასმა იტალიელმა ქალაქელმა თავისი სახელები ამოქარგა მშვიდობისადმი უძლეველი მისწრაფების ნიშნად.

ყრილობა იწყებს დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას. მოხსენება „ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“ გააკეთა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ტუმანოვამ.**

ჩვენს ქვეყანაში, ამბობს იგი, ნორჩი თაობა უდიდესი სიყვარულითა და ყურადღებით არის გარემოსილი. ყოველწლიურად დიდი სახსრები იხარჯება განათლებასა და კულტურაზე. მარტო უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე აშენდა დაახლოებით 11 ათასი სკოლა 2 მილიონი მოსწავლისათვის. ბავშვების განკარგულებაშია პიონერთა სასახლეები და სახლები, ნორჩ ტექნიკოსთა, ნატურალისტთა სადგურები, სტადიონები, სპორტული რკინიგზები, პარკები, ბიბლიოთეკები, თეატრები. მარტო შარშან საზაფხულო არდადეგების დროს ქალაქგარეთა და ქალაქების პიონერბანაკებში დასვენება 4 მილიონზე მეტმა პიონერმა და მოსწავლემ. მილიონობანი ტრიალებენ ამაში ბავშვებისათვის მხატვრული და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა.

მომხსენებელი ლაპარაკობს მუშაობაზე მოზარდი თაობის აღზრდის დარგში, იმაზე, თუ რა როლს ასრულებს ამ საქმეში საბჭოთა სკოლა, ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია ნორჩი პიონერებისა.

პიონერთა ორგანიზაცია მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა. აშკარად პიონერული ასაკის მეტი წილი მოსწავლენი ამ ორგანიზაციის წევრები არიან. რაზმები და რაზმეულები ეხმარებიან სკოლებს ბავშვთა სწავლებაში. მაგრამ პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება თვით ბავშვების მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, ცხოვრების მოთხოვნებს. არის ფაქტები, რომ პიონერთა ორგანიზაციაში მექანიკურად გადაიქცა სასწავლო მუშაობის მეთოდები. ზოგიერთი პიონერხელმძღვანელი ცდილობს შეკრებებზე მოაწყოს სასწავლო მასალის გამეორება და შესწავლაც კი. ფართოდ არის გავრცელებული ეგრეთწოდებული „საგნობრივი შეკრებები“, რაც მასწავლებლის მუშაობის დუბლირებაა.

პიონერთა ორგანიზაცია მოსწავლეებს უნდა ეღვიძებდეს დიდ ინტერესს სასწავლო საგნებისადმი, უნერგავდეს მათ სიყვარულს ცოდნისადმი, კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას მეცადინეობისადმი, იბრძოდეს სკოლის შინაგანაწესის დამრღვევთა წინააღმდეგ, იბრძოდეს იმისათვის, რომ თვითეული პიონერი და მოსწავლე ზუსტად ასრულებდეს მასწავლებლის მოთხოვნებს, ზრუნავდეს იმისათვის, რომ გაფართოდეს მოსწავლეთა კულტურული ჰორიზონტი. პიონერთა რაზმეულები უნდა გახდნენ სხვადასხვა საინტერესო საქმეების ინიციატორები, ისეთი საქმეებისა, როგორიც არის პიონერების მიერ თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოებისა და დამხმარე მასალების გაკეთება, სასწავლო-საცდელ ნაკვეთებში, საგნობრივ და ტექნიკურ წრეებში მუშაობა, ნორჩ მათემატიკოსთა, ფიზიკოსთა და ქიმიკოსთა ოლიმპიადების მოწყობა, ტურიზმი და მხარეთმცოდნეობა.

პიონერული მუშაობა, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ტუმანოვამ, უნდა ეწყობოდეს არა ცხოვრებისაგან მოწყვეტით, არამედ კარგი სწავლის, საუკეთესო ყოფაქცევის, უფროსებისადმი პატივისცემის კონკრეტული მაგალითების, თვით პიონერთა მამაცური და კეთილშობილური ყოფაქცევ

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ტრიბუნა

როგორ მოვიყვანე სიმინდის უხვი მოსავალი

ჩვენი რესპუბლიკის მარცვლეულის მეურნეობაში სიმინდს ნათესი ფართობების მიხედვით დიდი ხვედრითი წონა აქვს. იგი ერთ-ერთი ძირითადი სასურსათო და საკვები კულტურაა.

საქართველოში არიან სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატები, რომლებსაც საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევათა გამოყენებით მაღალი მოსავალი მოჰყავთ. სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატია საქართველოში ამ საქმის ნოვატორი, გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადირი ჩოქოლი ქვაჩახია.

ქვაჩახიას შესანიშნავი გამოცდილება ყურადღების ღირსია. მას მრავალი მიმდევარი ჰყავს. მოწინავეთა გამოცდილება მოწმობს, რომ საქართველოში სრული შესაძლებლობაა დიდი რაოდენობით მოვიყვანოთ სიმინდი. ამოცანა ის არის, რომ გავამრავლოთ სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატთა რიგები.

ქვემოთ ვბეჭდავთ ჩოქოლი ქვაჩახიას წერილს თავისი გამოცდილების შესახებ.

ჩვენს კოლმეურნეობაში ჩაისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდს. პრაქტიკული გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ ჩვენს კოლმეურნეობებს სიმინდის მთელ ფართობზე უხვი მოსავლის მოყვანის დიდი შესაძლებლობა აქვთ.

ახლა, როცა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მკვეთრად დააყენეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ფართოდ განვითარების ამოცანა, დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის მოსავლიანობის გადიდებას, განსაკუთრებით მეცხოველეობის საქმის წინ წაწევაში.

1931 წლიდან ვხელმძღვანელობ მემინდვრეობის ბრიგადას. კარგად შევისწავლე ეს კულტურა და მტკიცედ გადავწყვიტე მიმეღო სიმინდის მაღალი მოსავალი. საამისოდ ყველა პირობა გვაქვს, საჭიროა მხოლოდ მონდომება, საქმის სიყვარული.

1936 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ვიკისრე 1 ჰექტარზე, რომელიც მე მებარა, მიმეღო 400 ფუთი სიმინდი. მაშინ ეს სერიოზული ვალდებულება იყო. ზოგიერთ ჩემს ამხანაგს კიდეც გაუკვირდა, არ სჯეროდა, რომ ამ საქმეს პრაქტიკული შედეგი მოჰყვებოდა. დაუღალავი შრომით, მაღალი აგროტექნიკის დანერგვით მიზანს მივაღწიე. და ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შევასრულე — ჰექტარზე მოვიყვანე 416 ფუთი სიმინდი, მაშინ როცა გეგმა 90 ფუთის მიღებას ითვალისწინებდა.

1945 წელს ჰექტარზე მივიღე 900 ფუთი სიმინდი. ჩემი შრომა ღირსეულად დაფასდა. სიმინდის სარეკორდო მოსავლის მოყვანისათვის 1946 წელს მომენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატობა, ხოლო 1948 წელს — სოციალისტური შრომის გმირის სპატიო წოდება. მაღალმა ჯილდომ აღმაფრთოვანა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. 1948 წელს 1 ჰექტარზე მივიღე 138,9 ცენტნერი სიმინდი, 1950 წელს — 182,2 ცენტნერი.

გასულ წელს, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, მოვიყვანე 158 ცენტნერი. ამასთან ბრიგადა, რომელსაც ვხელმძღვანელობ, სისტემატურად ზრდის სიმინდის მოსავლიანობას. მაგალითად, 1951 წელს 14,4 ჰექტარი ფართობის თვითეული ჰექტარზე ბრიგადამ მიიღო 47 ცენტნერი, ხოლო 1953 წელს 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 54 ცენტნერი სიმინდის მოსავალი.

მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სამუშაოს აგროტექნიკურ ვადებში მაღალხარისხოვნად შესრულებას. ჩვენი ბრიგადა სიმინდის უხვი მოსავლისათვის ბრძოლას შემოდგომიდანვე იწყებს. უწინარეს ყოვლისა ნაკვეთებს ვწმენდთ სიმინდის ღეროებისა და სარეველა მცენარეების ნარჩენებისაგან და მათ ვწვავთ. მიღებულ ნაცარს თანაბრად ვანაწილებთ მინდვრის მთელ ფართობზე. სიმინდისათვის ნიადაგს ვხნავთ თებერვლის დამდეგს 18-20 სანტიმეტრ სიღრმეზე, შემდეგ თესვის წინ ნიადაგს 10-12 სანტიმეტრ სიღრმეზე გადავხნავთ. დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის განოყიერებას ნაკელით. ჩვენში ნაკელის გამოყენების დიდი შესაძლებლობაა. ნიადაგის პირველი მოხვნის წინ ჰექტარზე შეგვაქვს 60 ტონა ნაკელი.

ჩოქოლი ქვაჩახია

* * *

თესვის ვადების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამას ჩვენ ვუფარდებთ ადგილობრივ პირობებს. ვითვალისწინებთ იმას, რომ სიმინდი სითბოს მოყვარული კულტურაა. თესვას ვამთავრებთ აპრილის პირველ ნახევარში. ჰექტარზე ვთესავთ 60-70 კილოგრამ აბაშის თეთრი ჯიშის სიმინდს. სიმინდს ვთესავთ მწკრივად, რაც კულტივაციის განხორციელების საშუალებას იძლევა. დათესვის 15 დღის შემდეგ, როცა მცენარე ორ-სამ ფოთოლს ამოიყრის, ნათესს პირველად ვთოხნით. პირველი თოხნიდან 15-20 დღის შემდეგ ვიწყებთ მეორე თოხნას. მესამედ და მეოთხედ ვთოხნით საჭიროების მიხედვით.

მეორე თოხნის წინ ნათესში შეგვაქვს წუნწუხი — თვითეულ ძირ მცენარეზე ნახევარი კილოგრამი.

მოსავლიანობა იმითაც გავადიდეთ, რომ ჰექტარზე დავტოვეთ 40-45 ათასი ძირი სიმინდის მცენარე. ვახორციელებთ მოსავლიანობის გადიდების ისეთ ღონისძიებას, როგორიც არის სიმინდის ხელოვნური დამტვერვა. ამით ვაღწევთ ჰექტარზე სიმინდის მოსავლიანობის მატებას 3 ცენტნერამდე.

სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის ხერხები შევასწავლე ჩვენი რაიონის მრავალ კოლმეურნეს. უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო სოფელ ქვემო ბარღების კოლმეურნეობის ბრიგადირის ძუკუ რიგვავას მუშაობა, რომელმაც ჰექტარზე მიიღო 1.392,5 ფუთი სიმინდი. ასევე უხვი მოსავალი მოჰყავთ გუდაუთის რაიონში თემურ თარბას, გალის რაიონში ტ. აბუხბაიას, თ. შამათავას და მრავალ სხვას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში „ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ“ ნათქვამია, რომ მარცვლეული მეურნეობის მძლავრი აღმავლობის ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნათესი ფართობების სწორად გამოყენებას და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვან გადიდებას. პარტიის მოწოდებას ჩვენ ვუპასუხებთ დაძაბული შრომით. უკვე მზად ვართ საგაზაფხულო თესვისათვის.

ვებმები სოციალისტურ შეჯიბრებაში, სიამოვნებით ვიღებ ძუკუ რიგვავას გამოწვევას და ვალდებულებას ვკისრულობ წელს სიმინდი დავთესო კვადრატულ-ბუდობრივი წესით, 1 ჰექტარზე, რომელიც მე მოსავლად მაბარია, მივიღო 1.000 ფუთი სიმინდი.

ჩვენ, კოლმეურნეებს, კარგად გვესმის, რომ მარცვლეულის და კერძოდ სიმინდის მოსავლიანობის გადიდებით ხელს შეეუწყობთ მეცხოველეობის განვითარებას. ამიტომ არ დავიშურებთ მთელ ჩვენს ცოდნას, გამოცდილებას და ენერგიას სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში.

დადგა უხვი მოსავლისათვის ფართო ლაშქრობის გადამწყვეტი დღეები. ეს წელი უნდა გახდეს კოლმეურნეთა შრომის სახელოვანი შედეგების წელი. ყველა რეზერვი, გამოცდილება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ პირნათლად განვახორციელოთ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანები.

ჩოქოლი ქვაჩახია,

გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

გაზაფხული აფხაზეთის საკოლმეურნეო ბაღებში

სოხუმი, 24 მარტი. (საქინფორმ). გაზაფხულის სითბო და მზიანი ამინდებია აფხაზეთის სანაპიროზე. მხოლოდ მთების ფერდობებსა და მწვერვალებზეა თოვლი. ხეობებში კი უკვე აყვავდა ალუბა, ატამი და ალუბალი.

საკოლმეურნეო ბაღებში დაიწყო ხეხილის საგაზაფხულო რგვა. პირველი 30-ზე მეტი ჰექტარი ვაშლი, მსხალი, ლეღვი, ატამი, ქლიავი და სუბტროპიკული ხურმა დარგეს გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობებმა, ხოლო 11 ჰექტარი — გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობებმა.

მიმდინარე გაზაფხულზე ბაღების ფართობი აფხაზეთის კოლმეურნეობებში თითქმის 400 ჰექტარით დიდდება.

ჩაებნენ რა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, აფხაზეთის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წელს დაახლოებით 14 ათას ჰექტარი ბაღების თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 40-45 ცენტნერი ხილი.

ფართოვდება ავტოტრანსპორტის ქსელი

ათობით სამგზავრო ავტობუსი აკავშირებს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს დედაქალაქთან. მათ ასეულ ათასობით მგზავრი გადაჰყავთ. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია მოეწყოს მსუბუქი ტაქსის რეგულარული მიმოსვლა თბილისს, სოხუმს, ბათუმს, სტალინირსა და მინერალურ წყლებს შორის.

ზაფხულში მსუბუქი ტაქსები იქნის თბილისი-კისლოვოდსკის, სოხუმი-გაგრის, სოხუმი-რიწას, სოხუმი-სოჭის ხაზებზე. მანქანების რაოდენობა 27 პროცენტით გადიდდება.

მნიშვნელოვნად ფართოვდება სატვირთო ტაქსის პარკი. თბილისის ბაზრებში გარეუბნის რაიონის კოლმეურნეთა ჩამოსაყვანად გამოყოფილია სატვირთო ავტომანქანები.

საავტომობილო ტვირთბიდის მოცულობა წელს 24 პროცენტით გაიზრდება.

ახალი წიგნები

როდიონ ჭორქია — „მოთხრობები“. საბლიტგამი, თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 8.000, გვ. 166, ფასი 5 მან 20 კაპ.

წიგნში შეტანილი საბავშვო მოთხრობები დაყოფილია ციკლებად. „გმირული წარსულიდან“ ეხება სამოქალაქო ომში ბავშვების მონაწილეობას, „ჩვენ გავიმარჯვებთ“ — საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში მოზარდთა მამაცურ საქმეებს, ხოლო „მშვიდობიან დღეებში“ ასახავს ბავშვების ყოველდღიურ საქმიანობას სკოლასა და ოჯახში, ჩვენი ხალხის აქტიურ მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში და სხვა საკითხებს. დასასრულ დაბეჭდილია ი. სიხარულიძის კრიტიკული წერილი „როდიონ ჭორქია“.

გრიგოლ ხავთასი — „ნარკვევები გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან“. პირველი ტომი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1953 წელი, ტირაჟი 2.000, გვ. 559, ფასი 15 მან. და 40 კაპ.

წიგნი წარმოადგენს გერმანული ლიტერატურის ისტორიის საკითხთა სისტემატიზაციის ცდას. ავტორი შრომას იწყებს ადრეული შუა საუკუნეების ლიტერატურული ძეგლების განხილვით და მოდის მე-18-19 საუკუნეებამდე, ფ. შილერის შემოქმედების ანალიზამდე.

შოთა რევიშვილი — „საზღვარგარეთული ლიტერატურა“ (კრიტიკული ნარკვევების კრებული), სახელგამი, თბილისი, 1953 წელი, ტირაჟი 3.000, გვ. 375, ფასი 7 მან.

ნაშრომში დაწერილია განხილულია „სიმღერა როლანდზე“, „სიმღერა ნიბელუნგებზე“, დანტეს, შექსპირის, სერვანტესის, მოლიერის, გოეთეს, შილერის, ჰიუგოს, ბაირონის, პეტეფის, ჰაინეს, ბალზაკის, პოტიეს, ბეხერის შემოქმედება. წიგნი ძირითადად შედგენილია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ საშუალო სკოლების უფროსი კლასებისთვის დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ერეკვნული ბიბლიოთეკა

კარგი წიგნი და მისი ნაკლოვანებანი

ტექნიკური ლიტერატურა ქართულ ენაზე თანდათან მდიდრდება როგორც ორიგინალური ნაწარმოებებით, ისე თარგმნილი შრომებითაც. ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას რუსულ ენაზე დაწერილ კაპიტალურ შრომებთან ერთად საშუალება ეძლევა მშობლიურ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელებითაც დაეუფლოს მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალებს. ჩვენი მეცნიერი მუშაკები თანდათან ავსებენ ტექნიკური ლიტერატურის თაროს ახალ-ახალი შრომებით. ქართული ტექნიკური ლიტერატურის ერთ ასეთ მეწამატად უნდა ჩაითვალოს „ტექნიკა და შრომას“ მიერ ახლახან გამოცემული ინჟინერ კ. ძნელაძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „მანქანათმცოდნეობა“.

ავტორს მიზნად დაუსახავს უაღრესად კეთილშობილური ამოცანა — მოეცა ტექნიკუმების მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე მანქანათმცოდნეობის სისტემატიზებული კურსი.

პირველი ნაკლი, რასაც მკითხველი თავიდანვე შეამჩნევს, ის არის, რომ წიგნი სავსეა მეტისმეტად მძიმე წინადადებებით და არაზუსტი გამოთქმებით, რომლებსაც მკითხველი, თუ თავს ძალა არ დაატანა, ვერ გაიგებს. მაგალითად, ავტორი შესავალში წერს: „მეთვრამეტე საუკუნეში მრავალრიცხოვანი ცდები ტარდებოდა ისეთი მანქანების შესაქმნელად, რომელიც შეძლებდა დაეკმაყოფილებინა მექანიკური ენერგიის მიღების მზარდი მოთხოვნილება საქარხნო მანქანების ასამუშავებლად“. გრამატიკის წესების უგულებელყოფას რომ თავი დავანებოთ, ეს წინადადება ძლიერ ნაძალადევი და უაზროა, რადგან გამოდის, რომ იყო ცდები მანქანების შესაქმნელად, რომლებსაც უნდა აემუშავებინათ უკვე არსებული „საქარხნო“ მანქანები. ასევე ნაძალადევი და ძნელი გასაგებია მე-7 გვერდზე ავტორის მიერ მოყვანილი სხვადასხვა კლასის მანქანების განსაზღვრა.

ამავე გვერდზე პირველ პარაგრაფში, სადაც ლაპარაკია ენერგიასა და მის სახეებზე, ავტორი წერს: „ყველა სხეულს, ყოველგვარ მდგომარეობაში, აქვს შრომის უნარიანობის განსაზღვრული მარაგი, რომელიც იზომება მათ მიერ შესრულებული მუშაობით“. ეს წინადადება სრულიად გაუმართავი და უგარგისია. რაკი „სხეული“ ნახმარია მხოლოობითს რიცხვში, მის წინ უნდა იყოს „ყოველი“ და არა „ყველა“. მეორეც: უნდა იყოს „მის მიერ შესრულებული მუშაობით“ და არა „მათ მიერ შესრულებული მუშაობით“. გრამატიკის კანონების დაცვა სავალდებულოა, რა თემაზეც არ უნდა იყოს ნაშრომი დაწერილი. მით უმეტეს ეს აუცილებელია სასწავლო წიგნისათვის.

მე-10 გვერდზე ავტორი წერს: „სსრ კავშირის ენერგომეურნეობას უმთავრესად შეადგენენ ელსადგურები, ჰიდროელსადგურები, თბოელექტროცენტრალები და სხვა მრავალი თბოდანადგარი, რისთვისაც ჩვენ კავშირს აქვს წყლისა და სათბობის ენერგიის დიდძალი მარაგი“. ამ წინადადებიდან გამომდინარეობს, რომ არსებობენ ჰიდროელექტროსადგურები, თბოელექტროცენტრალები და ძალიან მრავალი თბოდანადგარი, რომლებიც თითქოს ჩვენი ენერგომეურნეობის ცალკეულ სახეებს წარმოადგენდნენ. ნამდვილად კი ელექტროსადგური ეწოდება იმ მოწყობილობათა კომპლექსს, რომელთა საშუალებითაც ხდება ელექტროენერგიის მიღება. ეს წყლის ენერგიის გამოყენების შედეგად იქნება, ქარისა თუ სითბური ან მექანიკური ენერგიის გარდაქმნის შედეგად, სულ ერთია. საქმე ის არის, რომ არ შეიძლება სათბობზე ითქვას — არსებობს სათბობის ენერგიის დიდძალი მარაგი, უმჯობესი იყო ამ ფრაზის ასე ფორმულირება: „...რისთვისაც სსრ კავშირში გვაქვს წყლის ენერგიისა და სათბობის დიდძალი მარაგი“.

ავტორი მსჯელობაში ხშირად უშვებს შეცდომებს. მაგალითად, 141-ე გვერდზე არჩევს სათბობის შედგენილობას ელემენტების მიხედვით და ამბობს, რომ „მუშა სათბობი შედგება სხვადასხვა ნივთიერებებისაგანო“. გამოდის ისე, თითქოს შეშაში იყოს გოგირდი, რაც სწორი არ არის. ისევე როგორც სწორი არ არის, რომ ყველა სათბობში ნაცარი იყოს (მაგალითად, გაზისებრი სახის სათბობებში). ავტორის მიერ დასახელებული ელემენტები მხოლოდ ნახშირში, ანტრაციტსა და ყოქსშია, რასაც ავტორიც ადასტურებს წიგნის 150 და 157 გვერდზე.

მეორე თავის მეათე პარაგრაფში (გვ. 117) ინჟინერი კ. ძნელაძე ორთქლის ქვაბების არმატურად ასახელებს „დამცველ“ საცობებს და ინჟექტორებს, გარნიტურაში კი სიფონსა და კონუსს. საქმე ის არის, რომ „დამცველი“ საცობები, ინჟექტორები, სიფონი და კონუსი ყველა ტიპის ორთქლის ქვაბზე როდია. ჯერ-ერთი საცობებს უფრო სწორი იქნება ვუწოდოთ საკონტროლო და არა დამცველი, რადგან თვითონ საცობები ორთქლის ქვაბს დაზიანებისაგან და მით უმეტეს აფეთქებისაგან არ იცავენ. მათი ძირითადი დანიშნულებაა დაუყოვნებლივ მიაქციონ ორთქლის ქვაბის მომსახურე პერსონალის ყურადღება ქვაბში წყლის დონის კატასტროფიულ დაკლებას. მთავარი კი ის არის, რომ საკონტროლო საცობები იხმარება მხოლოდ ორთქლმავლის, ლოკომობილის და სპეციალური დანიშნულების ქვაბებზე. სტაციონარული ტიპის ქვაბებზე საკონტროლო საცობები არ იხმარება, რაც ავტორს არსად მოხსენებული არა აქვს. ასევე ითქმის ინჟექტორებზეც. ინჟექტორები უფრო იხმარება ორთქლმავლის ქვაბებზე.

მიუხედავად ასეთი ნაკლოვანებებისა ეს წიგნი მაინც საჭირო და სასარგებლოა, იგი მნიშვნელოვანი შენამატია ქართული ტექნიკური ლიტერატურისათვის. კარგი იქნება, რომ ავტორი წიგნის შემდეგი გამოცემის დროს მხედველობაში მიიღებდეს ამ წერილში მოყვანილ შენიშვნებს, გაასწორებდეს და უფრო გააშალაშინებდეს წიგნის ენას.

დ. დუგლაძე,

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ინჟინერი.

ერთ კრებაზე...

ვალენტინ ოვეჩკინი

მარტინოვი სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგესთან ოჯდა თავისი პერსპექტიული გეგმებით, რაც პირველი მდივნის მისაღები ოთახიდან დარეკეს — მობრძანდესო.

საოლქო კომიტეტის მდივანი ამ თანამდებობაზე, სხვადასხვა ოლქში, უკვე ათიოდე წელს ეუშობდა. ეს იყო ხანში შესული, ორმოცდაათ წელს გადაცილებული კაცი, სამოქალაქო ომის მონაწილე, ჩაპაევის დივიზიის ესკადრონის მეთაური, სამამულო ომში — სამხრეთის ერთ-ერთი არმიის სამხედრო საბჭოს წევრი. იგი დაბალი ტანისა იყო, გამხდარი. ქერა ურჩი ქოჩორი, რომელიც ახალგაზრდულ ოერს აძლევდა, მალმალე ჩამოეშლებოდა ხოლმე შუბლზე. როგორც ამბობდნენ, ძალიან უყვარდა იალქნიანი სპორტი და ნაღირობა: ყველა დასასვენებელ დღეს ატარებდა ან მონასტრის ტბაზე, წყალსაცავმარდო სადგურზე, ან ჩეგუევის ტყეებში.

მარტინოვი პირველად ხვდებოდა მას, პირველად უნდა ჭკონოდა დიდი საუბარი, თუ არ ჩავთვლით მოკლე შეხვედრებს პლენუმებსა და საოლქო კომიტეტის ბიუროს ორ სხდომაზე: ერთხელ — როცა ხსნიდნენ ბორზოვს და მეორედ — როცა იგი, მარტინოვი, დაასახელეს რაიკომის პირველ მდივნად.

— თქვენ, ალექსეი პეტროვიჩ, შეიძლება ეს ისე არ გაწუხებთ, როგორც ჩვენ, ძირეულ მუშაკებს, — ამბობდა მარტინოვი. — ჩვენ კი, დამერწმუნეთ, უკვე გავეზრდით, ველარ ვიტანთ! თქვენ ნაკლებ გიხდებათ ცუდი კრებების ნახვა.

— ამით რა გინდა თქვა, — მდივანი უკმაყოფილოდ ოოიღუშა, — რომ ჩვენ, საოლქო კომიტეტის მუშაკები, ცხოვრებას არ ვიცნობთ, ცხოვრებას მოწყვეტილი ვართ?

— არა, ამის თქმა კი არ მინდა... თუ თქვენ მოდიხართ კრებაზე და ხედავთ, რომ იგი უხალასოდ მიდის, ადამიანები გამოდიან გულგრილად, ოღონდ რამე თქვან, ოქმისათვის, ხომ ვერ მოითმენთ, ჩაერევით, გამოაკოცლებთ. ერთი სიტყვით, კრებას იქით მიაბრუნებთ, სათაც საჭიროა. თქვენი დასწრებით კრება კარგად მამდინარეობა. მაგრამ უთქვენოდ როგორ ჩაივლიდა, ამას ხომ ვერ დაინახავდით?

— ეშმაკი ხარ, თავი დაიძვრინე! — გაიცინა საოლქო კომიტეტის მდივანმა. — დალე ჩაი. — მან მარტინოვს მიუწია ჭიქა ლიმონიანი მაგარი ჩაით. — ბოდიში, ჩვენთან საოლქო კომიტეტში მეტით ვერაფრით ვერ უმასპინძლდებიან მომსვლელებს. აიღე ნამცხვარი.

— ჩვენ რაკომში მომსვლელებისათვის ჩაიც არა გვაქვს, — თქვა მარტინოვმა, აიღო ნამცხვარი და გადატეხა ჭიქის თავზე. — თქვენი საფინანსო სექტორი ამისათვის ფულს არ გვაძლევს... ალექსეი პეტროვიჩ, რაკი საფინანსო სექტორზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთი პატარა საქმეა, მაგრამ სამი ათასი მანეთი მაინც კისერზე მაწევს...

— რა მოხდა?

— დეკემბერში მექანიზატორთა რაიონული შეკრება მოვაწყეთ. საჭირო იყო საუკეთესო ტრაქტორისტებისა და კომბაინერების დაჯილდოება. საამისო ფული კი მტს-ს არა აქვს. რა გვექნა? ბიუროს გადაწყვეტილებით რაიკომის ფაატი გავყიდეთ. არა გვჭირდებოდა. რაიკომს ორი მანქანა აქვს, რაიაღმასკომს ოთხი ეცხენ ჰყავს, ის ცხენი კი ბებერი იყო, მისი აკაზუულობაც არა გვქონდა. სატყეოს მივიდეთ, ტყის შემომვლელისათვის. თქვენმა ინსტრუქტორმა კი, საფინანსო სექტორიდან, ჩემზე აქტი შეადგინა: „გაყიდის უფლება არა გქონდათ! ცხენები, ისევე როგორც რაიკომების მთელი ქონება, საოლქო კომიტეტის ბალანსზე იირიცხებაო“. მაგრამ იმ ცხენის ფული ხომ არ შეგვიჯამია. ბანკეტის მოსაწყობად ხომ არ დაგვიხარჯავს. ვიყიდეთ ხუთი ცალი საათი, საკოსტიუმე, ველოსიპედი. შეკრება კარგად ჩავატარეთ! საჯაროდ გადავეცით ჯილდოები!..

— ანგარიშები გაქვთ?

— მაშ! ანგარიშებიც, დაჯილდოებულთა ხელწერილებიც.

— მერე, მეპარხლე ქალების დაჯილდობა რომ მოგიგიდეს ფიქრად, რას გაკადი? „ჰობდას“?.. კარგი, დაწერე განცხადება და თანაშემწეს დაუტოვე. გავარჩევთ.

საოლქო კომიტეტის მდივანმა გადაშალა საქაღალდე, ქაღალდები გადაფურცლა.

— აი, ამხანაგო მარტინოვ, მე წაგიკითხე ოქმი თქვენი პარტაქტივის კრებისა, რომელმაც ასეთი ხმაური გამოიწვია... — ის დიდხანს დუმდა შუბლშეკმუხვნილი. მარტინოვმა თავი დაანება ჩაის სმას, ფრთხილად, კოვზს რომ არ დაეწკარუნა, გადადგა ჭიქა. — აი ოპოინკინის გამოსვლა... ეკოლმეურნეობათა თავმჯდომარეების გამოსვლები... ცუდი არ არის... მაგრამ მათ არ ეთანხმება. ისინი, როგორც სამეურნეო მუშაკები, მეტისმეტი პრაქტიკოსები არიან, ყველაფერი კაც-საათებზე გადაჰყავთ, ამაში — დროს დაკარგვაში ბოროტებას ხედავენ. მე კი, როგორც პარტიული მუშაკი, ბოროტებას სხვაშიც ვხედავ... ყველაზე საშინელი დროს დაკარგვა როდია... თუ ორგანიზაციაში ისეთი მოლაყბეები, როგორიც თქვენი კორობკინია, ერთეულები არ არიან, — რად შეუძლიათ მათ გაგიკეთონ ჩვენი პარტიული კრებები, რომლებსაც ჩვენ კომუნისტური აღზრდის სკოლას ვუწოდებთ? ფუჭსიტყვაობის სკოლად?..

მარტინოვს სახარულთან გული აუფანცქალდა:

— ალექსეი პეტროვიჩ!..

— მოიცა... კორობკინები სერიოზულად ფიქრობენ, რომ სწორედ ეს არის ნამდვილი მუშაობა — ყოველდღე იმეორონ ასეთი სიტყვები: „საკვები მეცხოველეობის საფუძველია!“, „ღორი სასარგებლო ცხოველია!“ იქმნება მუშაობის მოჩვენებითობა. ზოგი ისე ყვირის, რომ კედლები ზანზარებს, მეორენი ამაგე სიტყვებს ბურტყუნებენ ქაღალდზე დაწერილიდან — მათი გამოსვლების ფასი ერთია. ფუჭსიტყვაობა სულის საწამლავია, გონების გამაბრუებელი რაღაც ბანგია. ასეთი ადამიანები ფიქრობენ, რომ მართლაც რაღაც საჭიროს, დიდს, საზოგადოებისათვის სასარგებლოს აკეთებენ, რომ ისინი ამრიგად ხელმძღვანელობას უწევენ, ზემოქმედებას ახდენენ საკოლმეურნეო ცხოვრებაზე. სხდომაზე ექვსიოდე საათს თუ ოჯდა, სინდისი სუფთა აქვს: დღეს კარგად ვიმუშავეო! მოისმენს სიტყვებს კოლმეურნეობებში მასობრივ-აღმშრდელობითი მუშაობის გაძლიერების საჭიროების შესახებ, თვითონაც ილაპარაკებს ყველის ამოხრინწვამდე, შემდეგ დაღლილი მიდის შინ, რომ ისადილოს, დასვენოს. ეს ხომ მუშაობა არ არის, ეს ნამდვილი მუშაობისათვის თვალი მინებება და მუშაობის შესახებ ლაპარაკში, ლაყბობაში გადავარდნაა... როცა ეს ფუჭსიტყვაობა ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის სპეციალობა, პროფესია ხდება, — აი ეს არის ყველაზე საშიში!..

მდივანი ლაპარაკობდა წყნარი ხმით, ნელა, დიდი პაუზებით, თითქოს თავისი თავისა და მარტინოვის წინაშე ხმამაღლა ამოწმებდა დიდი ხნის ნაფიქრს.

— პარტიული კრება, აქტივი, პლენუმი თვითმიზანი როდია. კრებას ჩვენ თვით კრებისათვის კი არ ვმართავთ, არამედ იმისათვის, რომ მის შემდეგ კომუნისტებმა ბრძოლა გააჩაღონ! ორნდომებით ჩაიბან მუშაობაში!.. კოლექტიური გონებით ვწყვეტთ დიდმნიშვნელოვან საქმეებს, ვამხილებთ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებს. პარტიულ კრებებზე ახალგაზრდა კომუნისტები სწავლობენ სიტყვის წარმოთქმას, თავიანთი აზრების დამაჯერებლად, ლოგიკურად გადმოცემას. სწავლობენ ორატორულ ხელოვნებას, ეფიერი კაც-საათებზე გადაჰყავთ, ამაში — დროს დაკარგვაში ბოროტებას ხედავენ. მე კი, როგორც პარტიული მუშაკი, ბოროტებას სხვაშიც ვხედავ... ყველაზე საშინელი დროს დაკარგვა როდია... თუ ორგანიზაციაში ისეთი მოლაყბეები, როგორიც თქვენი კორობკინია, ერთეულები არ არიან, — რად შეუძლიათ მათ გადაქცევა ოფიციალურ ფიქრად, რას გაკადი? „ჰობდას“?.. კარგი, დაწერე განცხადება და თანაშემწეს დაუტოვე. გავარჩევთ.

საოლქო კომიტეტის მდივანმა გადაშალა საქაღალდე, ქაღალდები გადაფურცლა.

— აი, ამხანაგო მარტინოვ, მე წაგიკითხე ოქმი თქვენი პარტაქტივის კრებისა, რომელმაც ასეთი ხმაური გამოიწვია... — ის დიდხანს დუმდა შუბლშეკმუხვნილი. მარტინოვმა თავი დაანება ჩაის სმას, ფრთხილად, კოვზს რომ არ დაეწკარუნა, გადადგა ჭიქა. — აი ოპოინკინის გამოსვლა... ეკოლმეურნეობათა თავმჯდომარეების გამოსვლები... ცუდი არ არის... მაგრამ მათ არ ეთანხმება. ისინი, როგორც სამეურნეო მუშაკები, მეტისმეტი პრაქტიკოსები არიან, ყველაფერი კაც-საათებზე გადაჰყავთ, ამაში — დროს დაკარგვაში ბოროტებას ხედავენ. მე კი, როგორც პარტიული მუშაკი, ბოროტებას სხვაშიც ვხედავ... ყველაზე საშინელი დროს დაკარგვა როდია... თუ ორგანიზაციაში ისეთი მოლაყბეები, როგორიც თქვენი კორობკინია, ერთეულები არ არიან, — რად შეუძლიათ მათ გადაქცევა ჩვენი პარტიული კრებები, რომლებსაც ჩვენ კომუნისტური აღზრდის სკოლას ვუწოდებთ? ფუჭსიტყვაობის სკოლად?..

მარტინოვს სახარულთან გული აუფანცქალდა:

— ალექსეი პეტროვიჩ!..

— მოიცა... კორობკინები სერიოზულად ფიქრობენ, რომ სწორედ ეს არის ნამდვილი მუშაობა — ყოველდღე იმეორონ ასეთი სიტყვები: „საკვები მეცხოველეობის საფუძველია!“, „ღორი სასარგებლო ცხოველია!“ იქმნება მუშაობის მოჩვენებითობა. ზოგი ისე ყვირის, რომ კედლები ზანზარებს, მეორენი ამაგე სიტყვებს ბურტყუნებენ ქაღალდზე დაწერილიდან — მათი გამოსვლების ფასი ერთია. ფუჭსიტყვაობა სულის საწამლავია, გონების გამაბრუებელი რაღაც ბანგია. ასეთი ადამიანები ფიქრობენ, რომ მართლაც რაღაც საჭიროს, დიდს, საზოგადოებისათვის სასარგებლოს აკეთებენ, რომ ისინი ამრიგად ხელმძღვანელობას უწევენ, ზემოქმედებას ახდენენ საკოლმეურნეო ცხოვრებაზე. სხდომაზე ექვსიოდე საათს თუ ოჯდა, სინდისი სუფთა აქვს: დღეს კარგად ვიმუშავეო! მოისმენს სიტყვებს კოლმეურნეობებში მასობრივ-აღმშრდელობითი მუშაობის გაძლიერების საჭიროების შესახებ, თვითონაც ილაპარაკებს ყველის ამოხრინწვამდე, შემდეგ დაღლილი მიდის შინ, რომ ისადილოს, დასვენოს. ეს ხომ მუშაობა არ არის, ეს ნამდვილი მუშაობისათვის თვალი მინებება და მუშაობის შესახებ ლაპარაკში, ლაყბობაში გადავარდნაა... როცა ეს ფუჭსიტყვაობა ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის სპეციალობა, პროფესია ხდება, — აი ეს არის ყველაზე საშიში!..

მდივანი ლაპარაკობდა წყნარი ხმით, ნელა, დიდი პაუზებით, თითქოს თავისი თავისა და მარტინოვის წინაშე ხმამაღლა ამოწმებდა დიდი ხნის ნაფიქრს.

— პარტიული კრება, აქტივი, პლენუმი თვითმიზანი როდია. კრებას ჩვენ თვით კრებისათვის კი არ ვმართავთ, არამედ იმისათვის, რომ მის შემდეგ კომუნისტებმა ბრძო

საბჭოთა მსახიობების წარმავება კარაჩში

ყარაჩი, 23 მარტი. (საკდესი). გუშინ ყარაჩში, დედაქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო დარბაზში „კატრეკ ჰოლში“ გაიმართა აქ მყოფი საბჭოთა მსახიობების პირველი კონცერტი. მაყურებლები გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენლებს.

განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა უზბეკეთის სსრ სახალხო არტისტს თამარ ხანუმს. მისმა გამოსვლამ დაიკავა კონცერტის მთელი მეორე განყოფილება. თამარ ხანუმმა დიდი ოსტატობით შეასრულა ტაჯიკური, უზბეკური, აზერბაიჯანული, ჩინური და პაკისტანური ხალხური სიმღერები და ცეკვები.

პაკისტანური ხალხური სიმღერა თამარ ხანუმმა შეისწავლა ორი დღის განმავლობაში, როცა ყარაჩში იმყოფებოდა, რითაც პაკისტანელ მაყურებელთა განცვიფრება და დიდი მადლობა გამოიწვია. თამარ ხანუმის გამოსვლის დროს საბჭოთა მსახიობებთან ერთად აკომპანემენტს ასრულებდნენ პაკისტანელი მუსიკოსებიც.

დიდი წარმატება ჰქონდა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ზოია გაიდაის, ვიოლინისტ ალექსი გოროხოვის, ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტის ვალენტინა მაქსიმოვას, ტაჯიკეთის ხალხური ცეკვის შემსრულებლს აშურა ნასიროვას და სხვების გამოსვლებს.

კონცერტის დამთავრების შემდეგ მაყურებლებმა ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს საბჭოთა მსახიობებს. განუწყვეტლივ გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს პაკისტან-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“, „გაუმარჯოს საბჭოთა ხელოვნებას!“. კონცერტზე დამსწრეთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი პაკისტანში ა. გ. სტეცენკო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი, ჩეხოსლოვაკიის დესპანი, სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და წევრები, პაკისტანის პარლამენტის წევრები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები და სხვები.

პაკისტან-საბჭოთა კავშირის კულტურული ასოციაციის თავმჯდომარე საიედი მიქსალმა საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეებს. სალასუროსიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა პაკისტანში ა. გ. სტეცენკომ.

საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია დანიაში

კოპენჰაგენი, 23 მარტი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 20 მარტს კოპენჰაგენში დანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთობიერთან დაკავშირებით, რომელიც 24 მარტს იწყება, ჩამოვიდა საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია. 20 მარტს დელეგაციის ხელმძღვანელმა პროფესორმა ა. ი. დენისოვმა დანიის სახელმწიფო რადიოთი წარმოთქვა მოკლე სიტყვა.

გუშინ დანიასა და საბჭოთა კავშირს შორის თანამშრომლობის დანიის საზოგადოებამ მოაწყო საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის შეხვედრა დანიის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციასთან, რომელიც დღეს საბჭოთა კავშირში მიემგზავრება. საღამოში მონაწილეობა მიიღეს დანიის კულტურის დელეგაციის წევრებმა, მათ შორის მწერალმა ბრანერმა, ფოლკეტინგის დეპუტატმა ალფრედ ოენსენმა, კოპენჰაგენის უნივერსიტეტის რექტორმა ხ. მ. ჰანსენმა, კოპენჰაგენისა და ორხუს უნივერსიტეტების პროფესორებმა და დელეგაციის სხვა წევრებმა, აგრეთვე დანიასა და საბჭოთა კავშირს შორის თანამშრომლობის დანიის საზოგადოების თავმჯდომარემ პროფესორმა ოორგენ ოორგენსენმა, საზოგადოების გამგეობის წევრებმა, სამეფო თეატრების დირექტორმა ხ. ბრონდსტედმა და დანიის საზოგადოებრივი და კულტურული წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა.

საღამოს დაესწრო სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული დანიაში ა. ს. კაპლინი.

საბჭოთა კავშირისა და დანიის დელეგაციების შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესია

ლუი საიანის მოხსენება

ვენა, 23 მარტი. (საკდესი). დღეს ვენაში გაიხსნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს 25-ე სესია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ: პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე დი ვიტორიო, გენერალური მდივანი ლუი საიანი, ვიცე-თავმჯდომარეები ნ. მ. შვერნიკი (სსრ კავშირი), ალენ ლე ლეანი (საფრანგეთი), ლუ ნინ-ი (ჩინეთი), ტოლედანო (მექსიკა), ტესლა (ჩეხოსლოვაკია), პენია (კუბა), ლუჩეზი (ბრაზილია), ბრანდსენი (ჰოლანდია) და სხვები. სესიას ესწრებიან აგრეთვე პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებების (პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საწარმოო განყოფილებების) გენერალური მდივნები.

სესიის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. საერთაშორისო მდგომარეობა და პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა შესრულება.

2. ბრძოლა პროფკავშირული უფლებების დაცვის ძირითადი პრინციპების აღიარებისა და გამოყენებისათვის და მზადება 1954 წლის 1 მაისისათვის.

3. პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებების (პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საწარმოო განყოფილებების) საქმიანობა და ამოცანები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა.

პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესის შემდეგ, რომელიც გაიმართა ვენაში 1953 წლის ოქტომბერში, თქვა საიანმა, მთელი რიგი მნიშვნელოვანი ამბები მოხდა საერთაშორისო ცხოვრებაში. მათგან ყველაზე დიდი იყო ოთხი მინისტრის ბერლინის თათბირი. შეუპოვარი წინააღმდეგობის შემდეგ დასავლეთის სამი სახელმწიფო იძულებული გახდა დათანხმებულიყო ოთხი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირის მოწოდებაზე. ეს თათბირი მოასწავებს მოლაპარაკების პოლიტიკის გამარჯვებას „ძალის პოლიტიკაზე“. ამ მოლაპარაკებამ ხელი შეუწყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ატომის ენერგიის საკითხზე. ხო. მი მინის წინადადებამ საფრანგეთთან მოლაპარაკების დაწყების შესახებ დიდი გავლენა მოახდინა საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრზე და საფრანგეთის მმართველ წრეებზე.

ჟენევის თათბირს, რომელიც მალე უნდა გაიმართოს, შეუძლია გაუხსნას გზა დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო მოლაპარაკებას. ამ თათბირზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დიდ ხალხმწიფოთა შორის დაიკავებს იმ ადგილს, რომელიც მას სამართლიანად ეკუთვნის. თათბირის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იქნება ინდოჩინეთში ომის შეწყვეტის საკითხი.

მეორე მხრივ, განაგრძო მომხსენებელმა, საომარი მზადების შედეგად კაპიტალისტურ ქვეყნებში ძლიერდება ეკონომიური სიძნელეები და მშრომელი მასების გაღატაკება. სულ უფრო მკაფიოდ ჩანს ეკონომიური კრიზისის პირველი ნიშნები ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საერთაშორისო მდგომარეობა, აღნიშნა საიანმა, ჯერ კიდევ დაძაბულია. ჯერ არ არის დადებული ზავი კორეაში, გრძელდება ბინძური კოლონიური ომი ვიეტნამში, გადაჭრილი არ არის გერმანიის პრობლემა, კაპიტალისტური ქვეყნები გამალებულ შეიარაღებას ეწევიან. ამიტომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია სავსებით უჭერს მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ნოემბრის სესიის გადაწყვეტილებას, რომ მოეწყოს საერთაშორისო შეხვედრები, რათა შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა, და სავსებით შეუწყობს ხელს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს იმაში, რომ ამ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღონ უაღრესად ფართო წრეებმა, როგორც იმ პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებიც შედიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში, ისე იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებიც ამ ფედერაციაში არ შედიან.

შემდეგ ლუი საიანი დაწვრილებით შეეხო პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ილაპარაკა რა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის შემდგომ ამოცანებზე, ლუი საიანმა მოუწოდა სესიის მონაწილეთ გააძლიერონ ბრძოლა საერთაშორისო პროფკავშირული ერთიანობის დამყარებისათვის. დასასრულ ლუი საიანმა სესიის განსახილველად შეიტანა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა შემდგომი პოპულარიზაცია და შესრულება, მშრომელთა ერთიანობის გაძლიერება დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ის, რომ მთელი მსოფლიოს მშრომელებმა ქმედითი დახმარება გაუწიონ დასავლეთ გერმანიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც იბრძვიან ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის, რომ კონკრეტული დახმარება გაეწიოს კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

სესიის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ლუი საიანის მოხსენების გამო.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭო შეუდგა რეზოლუციის იმ პროექტის განხილვას, რომელიც ახალმა ზელანდიამ შეიტანა ეგვიპტის წინააღმდეგ ისრაელის საჩივრის საკითხზე იმასთან დაკავშირებით, რომ, როგორც საჩივარშია ნათქვამი, „ეგვიპტემ შეზღუდვები შემოიღო სუეცის არხით ისრაელში მიმავალი სავაჭრო გემებისათვის“.

ეგვიპტისა და ლიბანის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს ახალი ზელანდიის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ. ამასთან ეგვიპტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროექტი არავითარ ყურადღებას არ აქცევს კონფლიქტის უფლებრივ მხარეს, და ამტკიცებდა, რომ ეგვიპტე მოქმედებს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და, კერძოდ, 1888 წლის კონვენციის შესაბამისად. მან აგრეთვე საეჭვოდ მიიჩნია უშიშროების საბჭოს კომპეტენტურობა — განიხილოს საკითხი საერთაშორისო შეთანხმებით სუეცის არხის ზონაში გემების გავლის თაობაზე ეგვიპტის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ. ეგვიპტე, თქვა მან, შეწყვეტს ისრაელში მიმავალი გემების წინააღმდეგ შეზღუდვის ღონისძიებებს, თუ ბოლო მოეღება ისრაელის აგრესიულ მოქმედებას.

ლიბანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახალი ზელანდიის რეზოლუციის პროექტი არ შეიძლება მიუკერძოებლად ჩაითვალოს და, მისი აზრით, იგი ისეა შედგენილი, რომ მოახდინოს „ზეგავლენა ეგვიპტეზე“. ლიბანის წარმომადგენელმა სურვილი გამოთქვა, რომ რეზოლუციის პროექტში შეტანილ იქნას შესწორებანი, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ეგვიპტისა და არაბთა სხვა ქვეყნების ინტერესები.

უშიშროების საბჭოს შემდეგი სხდომა ამ საკითხზე დანიშნულია 25 მარტისათვის.

საბერძნეთის თავდაცვის მინისტრის განცხადება

ათენი, 24 მარტი. (საკდესი). როგორც საბერძნეთის გაზეთები იუწყებიან, საბერძნეთის თავდაცვის მინისტრმა კანელო-პულოსმა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება, ჟურნალისტებთან საუბარში, კერძოდ, განაცხადა: „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბერძნეთს მოსთხოვეს გადაიხადოს წელიწადში ორი მილიონი დოლარი კორეაში საბერძნეთის საექსპედიციო კორპუსის შენახვისათვის. თუმცა ეს ძალიან ძვირია, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ უნდა გადავიხადოთ ეს თანხა“.

ჭადრაკი

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

24 მარტს საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მატჩის გადადებული მეოთხე პარტიის გათამაშება. მას შემდეგ, რაც ბოტვინიკმა თავისი მეფე გადაიყვანა დაფის ცენტრში, სადაც მან დაიკავა აქტიური პოზიცია, სმისლოვმა 61-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო.

ამრიგად ოთხი პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიში გახდა $3\frac{1}{2}:\frac{1}{2}$ ბოტვინიკის სასარგებლოდ.

25 მარტს წითელი არმიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მატჩის მეხუთე პარტია. თეორებით ითამაშებს სმისლოვი. (საკდესი).

საერთაშორისო ტურნირი ბუქარესტში

ბუქარესტი, 24 მარტი. (საკდესი). გუშინ ბუქარესტის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გაიმართა მე-16 — უკანასკნელის წინა ტური. შანლორი-კორჩნოის პარტიაში საბჭოთა ოსტატმა მალე გაათანაბრა თამაში. შანლორმა ყაიმი შესთავაზა, რაზეც კორჩნოი დათანხმდა, და პარტია მე-17 სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ვეიდ-ვოიკულესკუს პარტია.

სუსტად გაითამაშა იტალიური პარტიის დებიუტი ხოლმოვმა, რომელიც შავებით თამაშობდა სბოის წინააღმდეგ. ენერგიული იერიშით სბომ პარტია მოიგო 27-ე სვლაზე.

ო'კელი-ფურმანის პარტიაში საბჭოთა ოსტატმა ერთგვარი უპირატესობა მიიღო. მაგრამ ო'კელი ოსტატურად იცავდა თავს და ყაიმს მიაღწია.

პახმან-ბელენელის პარტიაში შავებმა მიიღეს უკეთესი პოზიცია. შემდეგ რუმენელმა ოსტატმა გაბედულად შეწირა ხორსი და გაანადგურა მოწინააღმდეგის მეფის ფლანგი. შამთოის მუქარის გამო პახმანმა მე-40 სვლაზე დამარცხებულად ცნო თავი.

ნეიმეტდინოვ-შტალბერგის პარტია გადაიდო ეტლების დაბოლოებით. საბჭოთა ოსტატს ხედმეტი პაიკი ჰყავს. გადადებულია აგრეთვე პაოლი-ფილიპის — კლუგერ-ტროიანესკუსა და ნოკოლტა-სლოვას პარტიები.

შინ გაკეთებული ანალიზის შემდეგ პახმანი დარწმუნდა, რომ მისი მდგომარეობა უიმედოა და დაუთმო კორჩნოის მე-15 ტურის პარტია.

16 ტურის შემდეგ ნეიმეტდინოვს (სსრ კავშირი) და კორჩნოის (სსრ კავშირი) აქვთ 11,5 ქულა და თითო გადადებული პარტია. ფილიპს (ჩეხოსლოვაკია) — 10 ქულა და ერთი გადადებული პარტია. ხოლმოვს (სსრ კავშირი) — 10 ქულა.

ღღეს გაიმართება დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება.

ამხანაგური შეჯიბრება საბჭოთა კავშირისა და არგენტინის მოჭადრაკეთა გუნდებს შორის

ბუენოს-აირესი, 23 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ გათამაშდა დაუთმავრებელი პარტიები. ნაიდორფმა თამაშის განუახლებლად დაუთმო ბრონშტეინს მეორე ტურის პარტია, ხოლო კერესმა დაუთმო ბოლბოჩანს მესამე ტურის პარტია. პეტროსიანმა ზუსტად გამოიყენა თავისი პოზიციური უპირატესობა პილნიკის წინააღმდეგ და გამარჯვება მოიპოვა.

ამრიგად, სსრ კავშირისა და არგენტინის მოჭადრაკეთა შეხვედრის ანგარიშია უკანასკნელი, მეოთხე ტურის წინ — 14,5:9,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

გროსმაისტერი ა. ტოლუში.

თბილისი

შეხვედრა გოჰარ გასპარიანთან

გუშინ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის პრესის კაბინეტში მოეწყო რედაქციის მუშაკების შეხვედრა სომხეთის სსრ დამსახურებულ არტისტთან, სტალინური პრემიის ლაურეატ გოჰარ გასპარიანთან, რომელიც თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში და საქართველოს ფილარმონიაში საგასტროლოდ ჩამოვიდა.

შეხვედრას დაესწრნენ პოეტი-აკადემიკოსი, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. გრიშაშვილი და სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ვასაძე.

გოჰარ გასპარიანმა რედაქციის მუშაკებს გააცნო თავისი შემოქმედებითი გზა, მომავალი მუშაობის პერსპექტივები. მსახიობმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს მოკლე დროში შეისწავლოს და თავისი მრავალფეროვანი რეპერტუარი გამდიდროს ქართული სიმღერებით. განსაკუთრებით აღნიშნა, რომ შეისწავლის მაროს პარტიას ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“ და გამოვა თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე.

შეხვედრაზე გ. გასპარიანმა სურვილი გამოთქვა თბილისის ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრმა დადგას ა. ტიგრანიანის ოპერა „ანუშა“, რომელშიც თვითონ მიიღებს მონაწილეობას.

სურათზე: ი. გრიშაშვილი, გ. გასპარიანი თავისი ბავშვით ხელათი და ა. ვასაძე.

ფოტო ვ. ზარიძისა.

მოსწავლეთა ექსკურსიები საწარმოებში

თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლაში მოსწავლეები დიდი ხალისით ეუფლებიან ტექნიკურ ცოდნას. მათ საკუთარი ძალებით გააკეთეს საქართველოს რელიეფური რუკა, ელექტროფარი, რომელსაც აქვს თანმიმდევრული და პარალელური ჩამრთველი და მრავალი სხვა ხელსაწყო.

სკოლას აქვს ცოცხალი ბუნების კუთხე, ნორჩ ნატურალისტთა სასწავლო-საცდელი ნაკვეთი. აქ მოსწავლეები გაზაფხულზე თვითონ დარგავენ და გაზრდიან სხვადასხვა მცენარეს, გაეცნობიან კარტოფილის თესვის კვადრატულ-ბუდობრივ წესსა და სხვ.

მოსწავლეთა ცოდნის გაფმტკიცებისათვის სკოლა ხშირად აწყობს ექსკურსიებს სამეცნიერო დაწესებულებებსა და ფაბრიკა-ქარხნებში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის სახელოსნოში მოსწავლეებს პრაქტიკულად აჩვენეს სპილენძის დნობა, კამვოლ-მაუდის ფაბრიკაში დაწვრილებით გააცნეს ცხოვილის წარმოების ყველა პროცესი. ჰიდრომეტეოროლოგიურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მეცნიერი მუშაკების ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა გაზომეს ჰაერის ტენიანობა, ბორჯომის შუშის ქარხანაში მათ ნახეს მინის წარმოების ყველა პროცესი.

სკოლის პედაგოგთა კოლექტივი დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა მიერ ბუნებაში ქიმიური და ფიზიკური მოვლენების პრაქტიკულად გაცნობის საკითხებს.

დ. ა. კვესელავა — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა დ. ა. კვესელავამ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ფუნქციათა თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანა და სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი“.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დამტკიცა დ. ა. კვესელავასთვის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება.

„ძახველის ჭალა“

თბილისის ვრიბოედოვის სახელობის თეატრმა განაახლა ი. კორნეიჩუკის ლირიკული კომედია „ძახველის ჭალა“. ეს სპექტაკლი, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა, ორი წელია აღარ დადგმული და ამჟამად განახლებულია რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ ა. ზაგორსკი, ი. მაქსიმოვა, ნ. ბურმისტროვა, ვ. ზახაროვა, ი. რუსინოვი, პ. ლუსპეკაევი და სხვ.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

25 მარტს	ჯ. როსინი— **სევილიელი დალაქი** (გოჰარ გასპარიანის მონაწილეობით). (დასაწყისი საღამოს 8 ს.)
26 მარტს	ჟ. ბიზე — **კარმენი** (დასაწყისი საღამოს 7 ს.)

მოსწავლეებისათვის სპექტაკლის დასაწყისი საღამოს 7 ს. ბილეთები იყიდება დილის სპექტაკლების ფასებით 4 მანეთიდან 12 მანეთამდე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი
აწარმოებს გუნდში მამაკაცთა მიღებას (ტენორი და ბანი).
განცხადებები მიიღება 27 მარტამდე კადრების განყოფილებაში, დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

მოქალაქე **ირაკლი მიხეილის-ძე ქრისტინაშვილმა**, მცხოვრებმა ფიროსმანის ქ. № 33, აღძრა საქმე ბაქოს ქ. № 16 მცხოვრებ მოქალაქე **ნატალია არსენის ასულ კაკაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **კონსტანტინე ვარლამის-ძე ფირცხალაიშვილმა**, მცხოვრებმა პეროსკაიას ქ. № 4, აღძრა საქმე გორის შესახ. № 12 მცხოვრებ **ნუნუ სავლეს ასულ ჩიტორელიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აწარმოებს მიღებას დაუსწრებელ განყოფილებაზე 1954/55 სასწ. წლისათვის რუსული ენისა და ლიტერატურის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის, ფიზიკა-მათემატიკის და ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტებზე.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან უმაღლესი განათლების არმქონე ბიბლიოთეკარები, რომლებიც მუშაობენ სკოლებში და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, გარდა რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 32.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1954 წ. 7 აპრილს დღის 2 საათზე № 104 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ქეთევან პოლიკარპეს ასული წერეთელი** დაიცავს დისერტაციის თემაზე: **„იხტორიის სწავლების საკითხები საქართველოს სკოლებში 1804-1870-იან წლებში“.**

ოფიციალური ოპონენტები: პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გ. თავზიშვილი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი კ. გრიგოლია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ღღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(დღის სპექტაკლების დასაწყისი 12 საათზე, საღამოსი — 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — სამშობლო (დილას), დიადი მომავლისათვის (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — უფსკრულთან, **გრიბოედოვის სახელობის** — ვაი ჭკუისაგან (დილას), გვარს ნუ დავსახელებთ (საღამოს), **სომხური დრამის** — საცდელი მინდორი, **მუსიკალური კომედიის** — ბრწყინვალე მომავალი (დილა-საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ვასოოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები (აბონემენტი № 27, 12 ს.), სურამის ციხე (აბონემენტი № 35, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უბის წიგნაკი (10 ს. და 2 ს.), ცხოვრების ფურცელი (7 ს.), **სანიტარული კულტურის** — ცხოვრება იწყება.

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვის სახელობისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, გორკის სახელობის პარკი — ზარინეს ბედი, **თბილისი** — სიმღერები ქუჩებში, **კომკავშირელი, დიდუბე** — ბატონი ტაქსი, **კოლხიდა, კოლმეურნე** — მზითვიანი ქორწილი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — გაზაფხულის დღეები.

საშახტო საბოლოეტო ინსტიტუტის ეკონომიკის, ხარჯთაღრიცხვისა და მშენებლობის ორგანიზაციის განყოფილებათა თანამშრომლები იუწყებიან ინსტიტუტის დირექტორის ირაკლი ზაქარიას-ძე მაღალაშვილის გარდაცვალებას.

და მარიამ შარაშენიძე, ძმა ალექსანდრე ხანდამაშვილი, სიძე ვ. შარაშენიძე, დისწულები ეთერ, თამარ, რძალი ალექსანდრა, ძმისწულები ილია, ივანე, მიხეილ ოჯახებით იუწყებიან გიორგი ილიას-ძე ხანდამაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 5½ ს. პლეხანოვის № 10.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1954 წლის 6 აპრილს დღის 12 საათზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე დისერტაციას დაიცავენ:

1. **არკადი გაბოლოვის-ძე გოგუაძე** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიათვის საქართველოში XIX ს. მეორე ნახევარში (ქუთაისის ლიბერალ-ხალხოსანთა ჯგუფი და გაზ. „შრომა“)“.**

ოფიციალური ოპონენტები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ტრ. ხუნდაძე** და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **მ. დუმბაძე.**

2. **ვასილ დავითის-ძე ბეგიზოვი** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„Крестьянское движение в Юго-осетии в первой половине XIX века“.**

ოფიციალური ოპონენტები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ტრ. ხუნდაძე** და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ზ. ანჩაბაძე.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება **ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში** (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

„კინოპროკატის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თანამშრომლები იუწყებიან ამავე კანტორის მუშაკის დავით მიხეილის-ძე სავანელის გარდაცვალებას.

მეუღლე ლუბა, შვილები ნუცა, კონსტანტინე, შვილიშვილები, სიძე პ. მესხიშვილი, რძალი ს. გოცირიძე, ქვისლები ა. მხეიძე, დ. ნიშნიანიძე, ვ. კეკნაძე ოჯახებით იუწყებიან **კოტე ბეჟანის-ძე აბშილავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-III ზოვრეთში (ზესტაფონის რ.).

სიდედრი ნინო, ცოლისძმა მიხეილ კალანდარიშვილი ოჯახით იუწყებიან **ირაკლი ზაქარიას-ძე მაღალაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 25-III, 5 ს. თარხნიშვილის ქ. № 11.

დედა ერმონა მეუღლით მოსეთი, ძმები სიმონ, ვლადიმერ, დავთი, და თამარ ექსეულიძეები ოჯახებით, მეუღლე თამარ, შვილები კუკური, ვლადიმერ იუწყებიან **ევგენი ვლადიმერის-ძე გაბუნიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-III, 7 ს. გამოსვენება 28-III, 4 ს. ნავთლუღის რკინიგზის სახლი № 1.

ძმა ხვთისო, ბიძაშვილები ნადია და გიორგი ტალიაშვილები იუწყებიან **ნიკოლოზ ვასილის-ძე ტალიაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ეფროსინე, შვილები პანტელეიმონ, მარიამ, ვალერიან, ალექსანდრე, რძლები თამარ, ქენია, გუგული, ძმები არსენ, თეიმურაზ ოჯახებით იუწყებიან **გიორგი ალექსის-ძე ნაცვალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-III ასკანაში (მახარაძის რ.).

„კინოპროკატის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორის თანამშრომლები იუწყებიან ამავე კანტორის მუშაკის დავით მიხეილის-ძე სავანელის გარდაცვალებას.

მეუღლე მიხეილ, შვილები ემელიანე, ალექსანდრა, ზინა, ნადია, რძალი ოლია, სიძე ა. ბერაძე, შვილიშვილები ნოდარ, ჯუმბერ, ენვერ, იზოლდა, ნუკრი, ლამარა იუწყებიან **მინა ქაიხოსროს ასულ წულაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 5 ს. ვახუშტის ქ. № 57.

მეუღლე ნინო, შვილები ცისანა, გიორგი ვანიძეები იუწყებიან **ვასილ დიმიტრის-ძე ვანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-III, 8 ს. გამოსვენება 28-III, 3 ს. ფურცელაძის ქ. № 8.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტამბა-გამომცემლობის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან სტამბის ძველი მუშის ხარიტონ ერმილეს-ძე ლომთათიძის გარდაცვალებას.

შვილები თამარ, ვერა, ბესარიონ, ალექსი, რძლები თამარ, ფსენია, სიძე პ. გრიგოლია, შვილიშვილები მერი, ლამარა, თამაზ, ანზორ, ფელიქს, მზია, ელზა იუწყებიან **ლუკა სოფრომის-ძე ტულუშის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-III მერიაში (მახარაძის რ.).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრან